გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

ფასი 40 თეთრი

№123 (879) 22 – 24 ნოემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

SOS საფრთხე!

გვ. 8

გენმოდიფიცირებული პროდუქტი — შიმშილისგან მხსნელი თუ დაავადებების წყარო

ბიძინა ივანიშვილის „პოსტსკრიპტუმი“

გვ. 3

„ამ წერილით იმ ერთადერთ კითხვას მინდა ვუპასუხო, რომელიც პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ჩემს განცხადებას მოჰყვა. ქართული, ევროპული და ამერიკული საზოგადოების ერთ ნაწილს გაუჩნდა კითხვა — ხომ არ ვაპირებ, კულუარულად ვმართო ქვეყანა?..“

„ბევრმა ჩათვალა, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თანამდებობების დატაცება შეიძლება“

რა საკონსტიტუციო ცვლილებებს მოითხოვს საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა**

გვ. 10

„კოჰაბიტაციის დასრულება სააკაშვილის დაპატიმრებას ნიშნავს“

ვის შეხვდა თეთრ სახლში, რა ინფორმაცია მიაწოდა ამერიკელებს და რატომ ითხოვს თანამდებობიდან მაია ფანჯიკიძის გადაყენებას **ირმა ინაშვილი**

გვ. 4

შოთა წვენიაშვილი ქართული ხელოვნების ტრფიალი ისრაელის წმიდა მიწაზე!

გვ. 7

კომპანიების სია, რომლებიც მომხმარებლებს SMS რეკლამებით თავს აბეზრებენ

რა საკანონმდებლო ცვლილებას ამზადებს მონაცემთა პერსონალური დაცვის ინსპექტორი?

გვ. 5

რატომ ჩამოართვეს „იდენტობას“ ადამიანებზე ზრუნვის უფლება?

გვ. 9

ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრია

პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილის საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შესახებ განკარგულებას ხელი მოაწერა. საქართველოს პრეზიდენტმა ახალ პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას ქვეყნის პარლამენტის მიერ გამოცხადებული ნდობა მიულოცა: **„ვულოცავ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და საქართველოს ახალი მთავრობის თითოეულ წევრს იმ დიდ ნდობას, რაც მათ ქვეყნის პარლამენტმა გამოუცხადა. ვუსურვებ ახალ აღმასრულებელ გუნდს წარმატებებს ქვეყნის წინსვლისა და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისთვის საქმიანობაში“.**

პარლამენტმა, ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით, ახალი მთავრობა 20 ნოემბერს დაამტკიცა და ღარიბაშვილის მიერ წარდგენილ სამთავრობო პროგრამას კენჭისყრის შედეგით — 93 მომხრე, 19 წინააღმდეგი — ნდობა გამოუცხადა. მინისტრობის წევრობის კანდიდატთა მოსმენები პარლამენტში ორი დღის განმავლობაში – ჯერ კომიტეტების და უმრავლესობა-უმცირესობის ფორმატში მიმდინარეობდა, შემდეგ კი, პროცესი რიგგარეშე სხდომაზე გაგრძელდა. მთავრობამ უფლებამოსილება ახალი პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან მოიხსნა, რაც თავის მხრივ, კონსტიტუციის ახალი დებულებების ამოქმედებას უკავშირდება. პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დამტკიცების შემდეგ, შს მინისტრის პორტფელი ალექსანდრე ჭიკაიძეს ჩაბარდა, ყველა სხვა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობაში ძველ პოზიციას ინარჩუნებს.

„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი განახლდა

განახლებულ ვებგვერდზე (President.gov.ge/ge/) საქართველოს პრეზიდენტის რანგში გიორგი მარგველაშვილის შეხვედრებისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციაა მოცემული. საიტი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და მის ბაზაში ამ დროისთვის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქმიანობის ამსახველი არქივი არ იძებნება.

„პირველი“

„ნაციონალური მოძრაობის მიერ რუსეთ-საქართველოს შორის გაღვივებული მტრობა დასრულდა“

„მანიაკალური მტრობა, რომელიც წინა მთავრობის მიერ ღვივდებოდა, წარსულში დარჩა“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე გრიგორი კარასინმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან, ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ. აბაშიძემ და კარასინმა ერთწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამეს. შეხვედრა პრაღაში გაიმართა, კარასინმა აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთმოქმედების, ერთობლივი გადაწყვეტილებების ძიების კონსტრუქციული პერიოდი ელის: **„ჩვენ გველის ურთიერთმოქმედების, ერთობლივი გადაწყვეტილებების ძიების კონსტრუქციული პერიოდი, რომელიც დაეფუძნება ორივე მხარის ინტერესების პატივისცემის წესებს, ხალხზე ზრუნვას, ჰუმანიტარულ კავშირებს, იმას, რომ გადავდგათ შემხვედრი ნაბიჯები, გადავწყვიტოთ ეკონომიკური და სოციალური საკითხები. ასევე ერთად მივიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში“.**

ზურაბ აბაშიძის თქმით კი, მოლაპარაკების რეალური წარმატებისთვის აუცილებელია, ჟენევის შეხვედრების დროსაც იყოს პროგრესი: **„ასევე დავადასტურეთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი მხარს უჭერენ ჩვენი დიალოგის გაგრძელებას, მინდა, ის უმნიშვნელოვანესი როლი აღვნიშნო, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა შეასრულა ამ დიალოგის დაწყებაში. ის პრობლემების განსაკუთრებული ღრმა წვდომით და ტაქტით ხელმძღვანელობდა ამ საქმეს“.**

„ექსპრესნიუსი“

საქართველოს პატრიარქი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს. საპატიო ჯილდო პატრიარქს მსოფლიოს იურისტთა ასოციაციამ მიანიჭა, რომლის შტაბ-ბინა ვაშინგტონშია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები და წევრები 21 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქს საპატრიარქოში ესტუმრნენ და ჯილდო და დიპლომი გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი პაატა ცნობილაძე, მეორე ვიცე-პრეზიდენტი კიმ კორლი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი აშშ-ში ბენ გრიფიტი, აღნიშნული ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ევდოკიმოვი, ასევე სასულიერო პირები, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ზაალ სარაჯიშვილი და იურისტები.

უცხოელმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს პატრიარქს მიღებისათვის, მისი ღვაწლისათვის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში. მათ აღნიშნეს, რომ სამართლიანობის უმაღლესი ორდენი ამერიკის იურისტთა ასოციაციამ მიანიჭა რომის გარდაცვლილ პაპს იოანე პავლე მეორეს და დიდი ბრიტანეთის დედოფალს, ასევე სხვა პირებს.

ასოციაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, პაატა ცნობილაძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ამ დიდი ჯილდოთი, 22 ნოემბერს, საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილსაც დააჯილდოვებენ. მისივე განმარტებით, აღნიშნულ ჯილდოს წელიწადში ერთხელ ანიჭებს უმაღლეს სასულიერო და საერო პირებს, მათი ღვაწლისთვის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრების სფეროში.

შეხვედრაზე კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა სამართლიანობის უმაღლესი ორდენის მინიჭების გამო და აღნიშნა, რომ ეს ჯილდო მოულოდნელია მისთვის. უწმინდესი მიიჩნევს, რომ ადამიანისთვის სამართლიანობა უმთავრესი უნდა იყოს. მისივე განცხადებით, მშვიდობა რომ სუფევდეს საზოგადოებაში, საჭიროა სამართლიანობა და კანონის უზენაესობა:

„ის ჯილდო, რომელსაც დღეს ვიღებ თქვენგან, სრულიად მოულოდნელია ჩემთვის. ვაკეთებ იმ საქმეს, რასაც უნდა აკეთებდეს ყოველი ადამიანი და მით უმეტეს, პატრიარქი. ეს არის სამართლიანობის აღდგენა და მართლაც, ადამიანისა და კაცობრიობის ყოფაში სამართლიანობა უნდა იყოს უმთავრესი. მინდა, მადლობა მოგახსენოთ ყურადღებისათვის. ჩვენ ვიმყოფებით იმ დარბაზში, რომელშიც რომის პაპი იოანე პავლე მეორე მივიღე და მქონდა მასთან მეგობრული ურთიერთობა. მინდა მოვიყვანო სიტყვები ნეტარი ავგუსტინესი: „მშვიდობა ყველას უნდა, მაგრამ ყველას თავისებურად ესმის“. მშვიდობა რომ სუფევდეს საზოგადოებაში, საჭიროა სამართლიანობა და კანონის უზენაესობა. ძველი რომაელები ამბობდნენ „კანონი რაც უნდა მკაცრი იყოს, ის არის კანონი და უნდა დავემორჩილოთ მას“. ჩვენ გამოვიარეთ რთული პერიოდი, ჩავატარეთ დემოკრატიული არჩევნები, გვყავს ახალი პრეზიდენტი და ხელისუფლება. ვფიქრობთ, მშვიდობა იქნება ჩვენთან და მშვიდობას შევინარჩუნებთ. მადლობას ვწირავ მსოფლიოს იურისტთა ასოციაციას ამ ჯილდოსთვის“.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ნარკოდანაშაულის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1962 წელს დაბადებული, წარსულში ხუთჯერ ნასამართლევი ქეთევან ჯ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანის ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ქეთევან ჯ. გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში იმ დროს დააკავეს, როდესაც მან საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა და საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალება შემოიტანა.

დაკავებულის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცავებმა 37 შეკვრად დაფასებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია ჰეროინის შემცველი 20,0797 გრ ნარკოტიკი.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

„მოსაწევი სპაისები“ იკრძალება

აკრძალულ ნარკოტიკულ საშუალებათა სიას „მოსაწევი სპაისების“ ახალი სახეობები ემატება. ეს არის ფსიქოაქტიური სუბსტანციები – JWH – 081, JWH – 122. გარდა ამისა, „სპაისი“ JWH – 250, რომელიც ახლა მკაცრად შეზღუდულ ნარკოტიკულ საშუალებათა სიაში შედის, აღნიშნული სიის გარდა, უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხასაც ემატება.

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. საკანონმდებლო ინიციატივა დეპუტატმა თამაზ ავდალიანმა მოამზადა, რომელიც „სპაისების“ ამკრძალავი წინა საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი და ინიციატორია. მისი განმარტებით: „პარლამენტის მიერ მიღებული კანონით აკრძალულ ნარკოტიკთა სიაში „სპაისების“ ექვსი სახეობა შევიდა. ახლა ამ სიას სხვა სახეობებიც ემატა, რადგან კანონით აკრძალულ „სპაისებს“ აღნიშნული სახეობები ჩაენაცვლა“.

„ინტერპრესნიუსი“

ბიძინა ივანიშვილის „პოსტსკრიპტუმი“

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ღია წერილს აქვეყნებს სახელწოდებით „პოსტსკრიპტუმი“, სადაც კიდევ ერთხელ პასუხობს მის მიმართ ბრალდებებს და დღეს ყველაზე აქტუალურ კითხვას — გადაიქცევა თუ არა სამოქალაქო სექტორში გადასული ივანიშვილი ქართული პოლიტიკის „რუხ კარდინალად“? კულისებიდან ქვეყნის მართვას არ ვაპირებ! — აცხადებს ყოფილი პრემიერ-მინისტრი. „ვერსია“ ბიძინა ივანიშვილის „პოსტსკრიპტუმს“ უცვლელად გთავაზობთ:

„ამ წერილით იმ ერთადერთ კითხვას მინდა ვუპასუხო, რომელიც პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ჩემს განცხადებას მოჰყვა. ქართული, ევროპული და ამერიკული საზოგადოების ერთ ნაწილს გაუჩნდა კითხვა — ხომ არ ვაპირებ, კულუარულად ვმართო ქვეყანა? ბევრი აბსურდული ბრალდება ისმოდა ჩემი მისამართით მაშინაც, როდესაც პოლიტიკაში შემოვედი. რას არ მაბრალებდნენ — კრემლის აგენტობით დაწყებული, საარჩევნოდ მაცივრების დარიგებით დამთავრებული. აღარაფერს ვამბობ ისეთ სიცრუეზე, თითქოს პოლიტიკაში საკუთარი ქონების გადასარჩენად მოვედი ან დიდი ჰესების ხელში ჩაგდება მინდოდა. ახლა, როცა უკვე პოლიტიკიდან წავედი, მინდა, ვუპასუხო იმ ბოლო აბსურდს, რომ თითქოს კულუარებიდან მსურს ვმართო ქვეყანა და გავლენა მოვახდინო ხელისუფლებაზე და როცა გავლენაზე მიანიშნებენ, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტს გულისხმობენ. მთელი ჩემი ცხოვრებით, მთელი ჩემი ბიოგრაფიით დავამტკიცე, რომ უკადრისი არასოდეს არაფერი ჩამიდენია.

ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში მომიწია ყოფნა და საქმიანობა. ეს მართლაც ურთულესი პერიოდი იყო, ბიზნესი ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, მოკლე დროში უამრავი საკუთრება გაიცა და ხშირად ეს უხეშ ფორმებსაც იღებდა. რთული იყო ასეთ ვითარებაში გამჭვირვალე და კანონიერი ბიზნესის კეთება და მიუხედავად ამისა, ჩემი ბიზნესი იყო სრულიად სამაგალითო და გამჭვირვალე. ბევრს ეცადნენ, ბევრი ეძებეს ოპონენტებმა, მათ შორის, უცხოელებმაც, მაგრამ ვერც ერთი შავი ლაქა ვერ იპოვეს ჩემს ბიზნესში. მე არათუ კანონი არ დამირღვევია არასდროს, კონტრაქტიც კი არ მომიშლია, მეტიც სიტყვაც არ გამიტეხია. რუსეთში ჩემი საქმიანობის 20-წლიან პერიოდზე ყველა კითხვას გავეცი პასუხი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემაში „ვედომოსტი“. ეს იყო ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც პოლიტიკაში მოსვლამდე მივეცი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს და თავად დარწმუნდეს, როგორი რეპუტაცია მქონდა რუსეთში და ბიზნესწრეებში (იხ. ლინკები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე: http://pirweli.com.ge/?menuid=16&id=47824; http://www.pirweli.com.ge/en/?menuid=16&id=3036; http://pirweli.com.ge/rus/?menuid=16&id=8441).

ჩემი ცხოვრების მთავარი ხელწერა არის აბსოლუტური გამჭვირვალობა. ასე ვიყავი ბიზნესში და ასეთივე ვიყავი პოლიტიკაშიც. როდესაც 2003 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, მათ კონსულტაციას ვუწევდი მათივე თხოვნით. 3 წლის განმავლობაში სააკაშვილს მრავალჯერ შევხვდი. ცხადია, ყოველთვის მისივე სურვილით. ვერც სააკაშვილი და ვერც მისი გუნდის რომელიმე წევრი ვერ გაიხსენებს ერთ შემთხვევასაც კი, როდესაც მათ რამე პირადი თხოვნით მივმართე ან პირადი ინტერესების გამო შევხვდი. მათ ყოველთვის ისეთ რჩევებს ვაძლევდი, რომლებიც ჩემს ქვეყანას, ჩემს სახელმწიფოს სჭირდებოდა და არა პირადად მე. ჩემი ინიციატივით იმ ფონდს ვაფინანსებდი, რომელიც ორნახევარ წელზე მეტხანს მთელ მთავრობასა და პარლამენტს ხელფასებს უხდიდა, რათა ქვეყანა კორუფციის ჭაობიდან ამოსულიყო და ევროპული განვითარების გზას დასდგომოდა.

რჩევებს ვაძლევდი მერაბიშვილსაც, ვეხმარებოდი პოლიციას პატრულის მანქანების ყიდვაში და არავითარ შემთხვევაში — იარაღის შეძენაში. ვეხმარებოდი ჯარს, ვაშენებდით ყაზარმებს, ვყიდულობდით ფორმას ჯარისკაცებისთვის. და იქაც მქონდა პრინციპული პოზიცია, რომ ამ დახმარებით არ ეყიდათ იარაღი. არასოდეს მიმიღია მონაწილეობა რომელიმე მინისტრის ან პრემიერ-მინისტრის დანიშვნაში. თავს ვარიდებდი და არ ვერეოდი ამ საქმეში. ანუ მაშინ, როდესაც არ ვიყავი საჯარო ფიგურა და მართლაც „კულუარებიდან“ მქონდა ურთიერთობა ხელისუფლების უმაღლეს წრეებთან, ფაქტია, რომ არ მომინდომებია „კულუარებიდან მართვა“.

პოლიტიკაში ორწლიანი მოღვაწეობისას ჩამოვაყალიბეთ გუნდი, რომელიც კარგად მიცნობს, უამრავი ადამიანი გავიცანი, უამრავს დავუმეგობრდი, ძალიან ბევრი ხშირად მაკრიტიკებს კიდეც, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ მე ორმაგი სტანდარტით ვცხოვრობ და ვმუშაობ. ერთ ეპიზოდსაც კი ვერ გაიხსენებს, რომ რაღაც კულუარულ თამაშებში ვერთვებოდი. პირიქით, ზოგჯერ ჩემივე გუნდის წევრები სწორედ „კულუარებში“ მაკრიტიკებდნენ პოლიტიკოსისთვის ზედმეტი გულახდილობისა და საჯაროობისთვის. ნებისმიერი ჩვენი გუნდის წევრი, ნებისმიერი მინისტრი მაქსიმალურად თავისუფალი იყო, მათ არასოდეს არაფერს ვახვევდი თავს, მხოლოდ მსჯელობისა და საღი აზრის პატივისმცემელი ვარ. ასეთია ჩემი მუშაობის წესი. არასოდეს ვმართავ კულისებიდან, მე ამას არ ვაკადრებ საკუთარ ქვეყანას და საკუთარ გუნდს, რომელსაც უაღრესად დიდ პატივს ვცემ.

ამიერიდან ,მე ვიქნები საზოგადოების აქტიური წევრი, ჩემი საქმიანობა იქნება სრულიად გამჭვირვალე და, რა თქმა უნდა, მექნება გარკვეული გავლენაც. ამასთანავე, მე ამ გავლენას არათუ სათაკილოდ მივიჩნევ, არამედ ძალიანაც შევეცდები მის გაზრდას. სხვანაირად როგორ შეიძლება იყო სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი? ხელისუფლებაზე საზოგადოების გავლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღის, ანუ დემოკრატიის მანიშნებელია, რადგან ეს გავლენა ხალხის, საზოგადოების წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულებას და მასთან უკუკავშირს გულისხმობს.

საბოლოოდ, საზოგადოება აქტიური მოქალაქეების, ინდივიდების კრებულია. ბუნებრივია, რომ მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მოქალაქის გავლენა პოლიტიკაზე, შესაბამისად, მაღალი იქნება. და თუ ეს მოქალაქე ყოფილი პოლიტიკოსია, როგორც ამ შემთხვევაში მე, მაშინ ეს წესი აღარ მუშაობს?! თუ მხოლოდ საქართველოში არ უნდა მუშაობდეს და საფრთხის შემცველად განიხილებოდეს ის, რაც აბსოლუტურად ნორმალურად ითვლება დემოკრატიულ ქვეყნებში?! ადამიანის უფლებები, ევროპული ღირებულებები, ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა, ის, რომ ამერიკა უნდა იყოს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ის, რომ აუცილებლად უნდა დავალაგოთ ჩვენს მეზობლებთან და, მათ შორის, რუსეთთანაც ურთიერთობა, ეს არის ჩემი ღირებულებები, და თუ ვინმე ამის წინააღმდეგია, ისინი ნამდვილად უნდა შფოთავდნენ, რადგან დიახაც რომ, მე მოვახდენ გავლენას ამ მიმართულებით. ამ ღირებულებს რომ ვცემ პატივს და ერთგული ვარ მათი, ეს არაერთხელ განვაცხადე. მეტიც, კოალიციის დეკლარაციასაც მოვაწერე ხელი, რომელიც მთლიანად ამ ღირებულებს ეფუძნება. ამ ღირებულებს ვცემდი პატივს ყოველთვის, და თუ ვინმე ფიქრობს, რომ დღეს, 57 წლის კაცი შევიცვალე ღირებულებს, ასეთებისთვის პასუხის გაცემას არ ვაპირებ. სხვა ინტერესი, გარდა ჩემი ქვეყნის წინსვლისა და ევროპული განვითარებისა, არასოდეს მქონია. ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ბიზნესი არ მაქვს, ამას არც მომავალში ვაპირებ და როგორ შეიძლება რამე სხვა მოტივი მამოძრავებდეს, გარდა ჩემი ქვეყნის სამსახურისა. თუ შევძლებ და მართლაც მოვახდენ ევროპული მიმართულებით ქვეყნის წინსვლის საქმეში გავლენას ხელისუფლებაზე, ამას უნდა მიესალმებოდეს ყველა. არც საჯარო მხარდაჭერას, არც რჩევებს დავამადლი და არც კრიტიკას მოვაკლებ მთავრობას, რომელიც ჩემს ხალხთან ერთად შევქმენი და რომელზეც პასუხისმგებლობა ავიღე.

მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: ის, რომ პოლიტიკიდან წასული ლიდერები გავლენას ახდენენ ქვეყნის ცხოვრებასა და პოლიტიკაზე, ჩვეულებრივი ამბავია და მიღებული ტრადიციაა დემოკრატიულ ქვეყნებში. ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს ამისა, ბევრი პოლიტიკოსი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელთა გავლენა პოლიტიკაზე ათეული წლებია ნარჩუნდება და ეს არავის აფრთხობს.

ვფიქრობ, ჩემგან არ უნდა ესწავლებოდეთ ჩვენს დასავლელ მეგობრებს, რომ ასეთი ტიპის „think tank“-ის (ანალიტიკური ცენტრების) გავლენა პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმდენად მაღალია, რომ ამ „ბრაინ ტრუსტ“-ების კეთილგანწყობისა და ნდობის მოპოვება მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებისგან დიდ დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს და, ხშირ შემთხვევაში, მოქმედი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მოპოვების ტოლფასია. ამ „think tank“-ის სათავეებთან კი, როგორც წესი, ყოფილი პოლიტიკოსები დგანან.

და მაინც, ყველაზე დიდი აბსურდი, რასაც მომაწერენ, არის ის, თითქოს მეშინია, თითქოს გავურბივარ პასუხიმგებლობას და ამიტომ მივდივარ პოლიტიკიდან. შეიძლება არსებობდეს თანამდებობის დაკარგვის შიში. მაგრამ როდესაც საკუთარი ნებით უარს ვაცხადებ თანამდებობაზე, რა შიშზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? მაშინ არ შემშინებია, როდესაც უმძიმეს ვითარებაში მივიღე პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება, როდესაც ჩვენს ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმის მრავალწლიანი მმართველობა ემუქრებოდა, როდესაც საზოგადოებაში სრული სასოწარკვეთილებისა და უპერსპექტივობის განცდა მეფობდა, როდესაც მთლიანად განადგურებული იყო ოპოზიციური ძალები — სწორედ მაშინ დავდე სასწორზე მთელი ჩემი ცხოვრება, ჩემი ოჯახი, შვილების უსაფრთხოება და სამშობლოს გადარჩენის გადაწყვეტილება მივიღე. მოვახერხე და გავაერთიანე პოლიტიკური ძალების საუკეთესო ნაწილი, ერთ მუშტად შევკარი საზოგადოება და ვაიძულე სააკაშვილის რეჟიმი მშვიდობიანად, უსისხლოდ გადმოებარებინა ხელისუფლება. და ახლა, როდესაც ხელისუფლებაში ნამდვილი დემოკრატიული ძალები მოვიყვანე, თავად ხელისუფლების ზენიტში მყოფმა, დავტოვე ხელისუფლება. ეს, ალბათ, ძნელი გასაგებია ბევრისთვის, რადგან ვერავინ დაასახელებს პოლიტიკოსისგან მსგავსი ნაბიჯის გადადგმის მაგალითს. შეიძლება სწორედ ეს აბნევს ვიღაცებს, რადგან ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკური ლიდერისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივაცია, ამოცანა და მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა, ქვეყნის მართვა და თავისი შეხედულებით სახელმწიფო საქმეების გაძღოლა.

მინდა მივმართო ყველას — ნუ დავრჩებით თითქმის ზოგადსაკაცობრიო სტერეოტიპის ტყვეობაში, უნდა დავიჯეროთ, რომ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს ჭარბი სიმდიდრე და ჭარბი ძალაუფლება, მაგრამ გული და გონება მაინც სხვაგან მიუწევდეს, რადგან მისთვის კიდევ უფრო მაღალი ღირებულება არსებობს და ეს არის თავისუფალი სამშობლოს თავისუფალი მოქალაქეობა. ამ ოცნების ასრულებისთვის გახდა აუცილებელი პოლიტიკაში დროებით ჩემი მოსვლაც და ამასვე ემსახურება პოლიტიკიდან ჩემი წასვლაც. აი, ასე მარტივია სინამდვილეში ყველაფერი“.

ვერსიანიუსი

ირინე იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივნად ოფიციალურად დაინიშნა

21 ნოემბერს, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნად, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში ირინე იმერლიშვილი დაინიშნა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა შესაბამისი განკარგულება გამოსცა: **„დაინიშნოს ირინე იმერლიშვილი საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად“.**

იმავე დღეს, თავად ირინე იმერლიშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მიხედვით, პარლამენტში მისი ადგილი მანანა ბერიკაშვილს უნდა დაეკავებინა, რომელიც კულტურის მინისტრის მოადგილე გახლავთ. ამ ფონზე, საკანონმდებლო ორგანოში იმერლიშვილს ვეტერანი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა შეცვლის.

რაც შეეხება საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს, იმერლიშვილს ამ თანამდებობაზე გიორგი კახიანი ჩაანაცვლებს.

„ვერსიანიუსი“

„კოჰაბიტაციის დასრულება სააკაშვილის დაპატიმრებას ნიშნავს“

ვის შეხვდა თეთრ სახლში, რა ინფორმაცია მიაწოდა ამერიკელებს და რატომ ითხოვს თანამდებობიდან მაია ფანჯიკიძის გადაყენებას ირმა ინაშვილი

ეროსუდან შელია
557-100-768

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი, მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი და ექსპერტი გიორგი არეშიძე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ვაშინგტონში, სადაც კონგრესმენებსა და სენატის წევრებთან საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრები გამართეს. რა განწყობა აქვთ დასავლეთში ახალი ხელისუფლების მიმართ, რატომ ითხოვს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის თანამდებობიდან გათავისუფლებას და როგორ ესმით საერთაშორისო პარტნიორებს საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება? „ვერსიას“ მედიაკავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელი ირმა ინაშვილი ესაუბრა.

— აშშ-ში, კონგრესსა და სენატში საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრები გაიმართა. „ობიექტივის“ მიერ მომზადებული ორი დოკუმენტური ფილმის ჩვენებას ასზე მეტი ადამიანი დაესწრო, მათ შორის, ამერიკელი ჟურნალისტები და უფლებადამცველები. ფილმებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— საქართველოში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკის კონგრესისთვის ქართულ ციხეში არსებული ვითარების ამსახველი ახალი კადრები უნდა წარგედგინათ.

— ახალი კადრები არ გვქონდა. საპარლამენტო არჩევნებამდე გავრცელებული ციხის კადრების დაუმონტაჟებელი ვერსია ჩავიტანეთ, რომელმაც მათში შოკი გამოიწვია. შევკრიბეთ ასზე მეტი ქართველი ბიზნესმენი, რომლებიც ფილმში საკუთარ ვინაობას ამხელენ და აცხადებენ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა მათ ქონება უსამართლოდ წაართვა, სამართლიანობა კი ჯერ არ აღმდგარა. პარალელურად, სენატორებსა და კონგრესმენებს გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძისა და სხვა გახმაურებული საქმეები შევახსენეთ, რომლებიც პროკურატურას დღემდე თაროზე აქვს შემოდებული. ვუთხარით, რომ ჩვენ ექსტრემისტები არ ვართ და ყველა ნაციონალის დაჭერას კი არა, კონკრეტული დანაშაულების გამოძიებას ვითხოვთ, რომლებშიც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები ფიგურირებენ. ქართველი ხალხის მოთხოვნაა, სააკაშვილით დაწყებული ახალაიათი დამთავრებული, პასუხი ყველა დამნაშავემ აგოს. ავუხსენით, რომ ნაციონალური მოძრაობა ლობისტების საშუალებით ცდილობს, რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები პოლიტიკურ ანგარიშსწორებად წარმოაჩინოს, სინამდვილეში კი, ეს პროცესი დამნაშავეების გამოვლენას ემსახურება.

— მათ ადეკვატურად აღიქვეს მოთხოვნა ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებასთან დაკავშირებით?

— შეგნებულად ვესაუბრეთ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებთანაც სააკაშვილი ამტკიცებდა, რეფორმატორი და დემოკრატიის შუქურა ვარო. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამერიკის კონგრესში ქართველი ხალხის ხმამ ჩააღწია — ადრე ეს ფუფუნება მხოლოდ ნაციონალებს ჰქონდათ. როცა კონგრესმენებს ინფორმაციას სწორად აწვდი, ადეკვატურები არიან. საქართველოში შექმნილ ვითარებაში მეტ-ნაკლებად ერკვევიან, თუმცა სააკაშვილის 9-წლიანი სიცრუის კვალი დასავლეთში ჯერ კიდევ შესამჩნევია. შევეცადეთ, მათთვის აგვეხსნა, რომ ნაციონალური მოძრაობა მათ მხოლოდ შეფუთულ დემოკრატიას სთავაზობდა. ბევრი საკითხის შესახებ ინფორმაცია ჩვენგან მიიღეს. შეხვედრები გვქონდა თეთრ სახლშიც, ბარაკ ობამას პირად მრჩეველ მეტ ნოსანჩუკთან, ასევე ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილ დირექტორ ჯეიმს ვულფთან, რომელიც „ფრიდომ ჰაუსსაც“ ხელმძღვანელობდა.

— ასეთი მაღალი დონის შეხვედრების ორგანიზატორი ვინ იყო და შეთანხმებული იყო თუ არა ეს ოფიციალური ვიზიტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან?

— ხელისუფლებასთან არასოდეს ვათანხმებთ, სად მივდივართ და რის გაკეთებას ვაპირებთ. ჩვენ გვყავს პარტნიორები, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ჯერ კიდევ ციხის კადრების გავრცელებაში გვეხმარებოდნენ. ჩვენი პარტნიორები ებრაელები არიან და ისრაელთანაც მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, არასოდეს შევეგუებით ფაქტს, რომ საქართველოში დამნაშავეები არ დაისჯონ. ძმები ბეჟუაშვილები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ფინანსურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ახალ ხელისუფლებასთან ადაპტირებულნი არიან. გელა ბეჟუაშვილი დღემდე საქართველოს დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელობს, რაც რიგითი თანამდებობა ნამდვილად არ არის. დავით თარხან-მოურავმა თეთრ სახლში იმასაც გაუსვა ხაზი, რომ საქართველოსთვის ამერიკა უმნიშვნელოვანესი პარტნიორი სახელმწიფოა და ჩვენი ურთიერთობის გაღრმავება აუცილებელია. ამერიკის განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება საქართველოს ახალ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილსაც, რათა მან დემოკრატიული რეფორმები ადეკვატურად და სწრაფად გაატაროს.

— როგორი განწყობა აქვთ დასავლეთში საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმართ და თუ აინტერესებთ, ურთიერთობის გაღრმავების მიმართულებით ჩვენი მთავრობა უფრო აქტიურად რატომ არ მუშაობს?

— დადებითი განწყობა აქვთ სააკაშვილის მიმართ, ამიტომ ხელისუფლებას საჯაროდ მივმართავ, რომ დასავლეთში ცუდად მუშაობს. ბიძინა ივანიშვილმა მაია ფანჯიკიძე კი შეაქო, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ ის თანამდებობიდან სასწრაფოდ მოსახსნელია. მას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ დასავლეთში ახალი ხელისუფლების რეალური სახე დაენახათ. მეტიც, ფანჯიკიძეს ელემენტარული კომუნიკაცია არ აქვს ელჩებთან და მათ შორის ინფორმაციის გაცვლა არ ხდება. მერწმუნეთ, ჩემი განცხადების დამტკიცება დოკუმენტურად შემიძლია — დასავლეთში ელჩები, პრაქტიკულად, უფუნქციოდ არიან. ცუდად მუშაობს ის ხალხიც, რომელსაც დასავლეთთან ურთიერთობის დარეგულირება ევალება. ბრიუსელში ან ვაშინგტონში ერთი პოლიტიკოსის ჩასვლა და რამდენიმეწუთიანი საუბარი საკმარისი არაა — დასავლელ პარტნიორებთან მუშაობას საკმაოდ სერიზული მიდგომა სჭირდება, რათა იქ დარწმუნდნენ, რომ ახალი ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის შეცდომებს არ გაიმეორებს, ქვეყანაში დემოკრატიულ რეფორმებს გაატარებს, რომელსაც ბოროტებასთან საერთო არაფერი აქვს. სამაგიეროდ, ნაციონალები მუშაობენ აქტიურად და სააკაშვილის გადარჩენას მაქსიმალურად ცდილობენ.

— საზოგადოების ნაწილი მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებას მოითხოვს. ყოფილი პრეზიდენტის გასამართლებას დასავლეთი პოლიტიკურ დევნად არ შეაფასებს?

— როცა ევროპარლამენტსა და ევროკომისიაში დეპუტატებს საქართველოში არსებულ რეალობაზე ინფორმაციას ვაწვდიდით, ევროპარლამენტის დანარჩენ მაღალჩინოსნებს ხვდებოდა სააკაშვილი და თავის გადარჩენას ცდილობდა. იცის, რომ მის მიმართ უამრავი კითხვა დაგროვდა, ამიტომ ცდილობს, პასუხისმგებლობას გაექცეს და თავი მსხვერპლად წარმოაჩინოს. სხვა თუ არაფერი, სააკაშვილს ჟვანიას საქმეში არსებულ მწვავე კითხვებზე პასუხების გაცემა მოუწევს, სადაც მისი დანაშაულებრივი კვალი იკვეთება, აგვისტოს ომთან დაკავშირებულ ბრალდებებსაც ვერ გაექცევა... ამ ფონზე, ჩემთვის კოჰაბიტაციის დასრულება, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებას ნიშნავს. თუ ხელისუფლება ამას ვერ მოახერხებს, ქვეყანაში სამართლიანობა ვერ აღდგება.

— სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით აქციები უკვე გამართეთ, საპროტესტო გამოსვლებს განაახლებთ?

— კუბლაშვილი, რომელმაც სასამართლოს მახინჯი სისტემა შექმნა, ინაუგურაციაზე ივანიშვილის გვერდით იდგა. ეს ადამიანი პოლიტიკური კრიმინალია, რადგან მის მიერ დანგრეული სასამართლო სისტემის აღდგენას ათწლეულები სჭირდება და არ მომწონს ფაქტი, რომ ივანიშვილის გვერდით თავს კომფორტულად გრძნობს. სწორედ ეს ნიშნავს განურჩევლობას. ბიძინა ივანიშვილი ხშირად მსაყვედურობს, მოუთმენელი ხარ და მოვლენების განვითარებას არ ელოდებიო, იმასაც მეუბნება, უმცირესობას წარმოადგენო, მაგრამ ბატონ ბიძინას ვარწმუნებ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილიც ჩემნაირად ფიქრობს. ხალხის სახელით არ ვსაუბრობ, უბრალოდ, უამრავ ადამიანთან მაქვს შეხება და დასკვნაც მათთან საუბრის შემდეგ გამომაქვს. დიახ, საზოგადოებას „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის არაბუნებრივი შერწყმა და ურთიერთობა არ მოსწონს!

— პრეზიდენტმა კოჰაბიტაციის დასრულება დააანონსა. ახალი პროკურორიც გვყავს. გაქვთ მოლოდინი, რომ პროცესი მალე დასრულდება?

— სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი ჯერ კიდევ მაქვს, რადგან მიმაჩნია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ამას მოახერხებს და ქართველი ხალხის მოთხოვნასაც გაითვალისწინებს. მას რეჟიმის უსამართლობა საკუთარ თავზე აქვს გადატანილი. მჯერა, დასავლეთთან ურთიერთობასაც დაალაგებს და საერთაშორისო პარტნიორებს საქართველოში არსებული პოლიტიკური რეალობის სწორად აღქმაშიც დაეხმარება. „ქართული ოცნება“, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დასავლეთის მიერ შემოთავაზებული პროექტის — კოჰაბიტაციის მძევალი გახდა. ხელისუფლებამ ეს მოცემულობა მიიღო, ახლა უნდა დაამტკიცოს, რომ სამართლიანობის აღდგენა პოლიტიკურ ანგარიშსწორებას კი არა, დამნაშავეების დასჯას გულისხმობს. ასე რომ, პროკურატურის თაროებზე შემოდებული საქმეები უნდა ჩამოიღონ და დამნაშავე ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სამართლიანი გამოძიება დაიწყონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი გახდება ამდენი წლის განმავლობაში სიცოცხლის ფასად რისთვის ვიბრძოდით.

ვერსიანიუსი

ოთარ ფარცხალაძე მთავარ პროკურატურაში საკადრო ცვლილებებს არ გამორიცხავს

ოთარ ფარცხალაძე მთავარი პროკურორის რანგში მუშაობას შეუდგა და პირველი განცხადებაც გაავრცელა. უწყების ხელმძღვანელის თქმით, საჭიროა ერთის მხრივ, ძლიერი და ერთიანი პროფესიული გუნდის ჩამოყალიბება და მათი თავდაუზოგავი მუშაობა, ხოლო მეორეს მხრივ, სისტემის სწორი მართვა და ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება: **„ვფიქრობ, პროკურატურის მუშაკთა უმრავლესობა პროფესიონალია, თუმცა ცხადია, ამით არ გამოვრიცხავ გარკვეულ საკადრო ცვლილებებსა და სტრუქტურულ ოპტიმიზაციას, რომლის მიზანი სისტემის სრული გაჯანსაღება და მუშაობის გაუმჯობესება იქნება. პროკურატურაში ჩემი მუშაობის პერიოდში ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო აუცილებლად იქნება ახალგაზრდა და პერსპექტიული კადრების მოზიდვა, სტაჟირების ფარგლებში მათი გადამზადება, საუკეთესოების დასაქმება და პროკურატურაში ამ სეგმენტის მუდმივი შემოდინებისთვის, მუშაობის შესამჩნევად გაძლიერება“.**

ფარცხალაძე მიიჩნევს, რომ უფრო უნდა დაიხვეწოს მოქმედ პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების, ტრენინგების, სემინარებისა და პერიოდული ტესტირების სისტემა, რათა პროკურატურაში მივაღწიოთ და შევინარჩუნოთ სტაბილური და ერთიანი მაღალი სტანდარტის დონე: **„ასევე, ვფიქრობ, რომ შესაძლოა, პროკურატურაში შემოვიღოთ თანამშრომელთა ე.წ. შიდა შეფასების სისტემა, რომელიც შედგენილი იქნება სხვადასხვა კრიტერიუმისგან. ეს ერთის მხრივ, იქნება ჯანსაღი კონკურენციისა და საკუთარ თავზე სისტემატურად მუშაობის მზაობის საფუძველი, მეორეს მხრივ, საშუალებას მოგვცემს, შევაფასოთ კონკრეტული პროკურორების საქმიანობის ხარისხი, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რათა პირველ შემთხვევაში, მოხდეს წარმატებული პროკურორების დაწინაურება თუ წახალისება, ხოლო მეორე შემთხვევაში მათი მუშაობის დახვეწა-გამოსწორება“.**

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კომპანიების სია, რომლებიც მომხმარებლებს SMS რეკლამებით თავს აბეზრებენ

რა საკანონმდებლო ცვლილებას ამზადებს მონაცემთა პერსონალური დაცვის ინსპექტორი?

„გსურთ, შეიძინოთ გაზის გამათბობლები ან სხვა ტექნიკა თქვენთვის სასურველ ფასად? იჩქარეთ, ფასდაკლება მოქმედებს 17 დეკემბრამდე (იანვრამდე, თებერვლამდე და ასე შემდეგ)“, — ამ და სხვა მსგავსი შინაარსის „სპამ“ SMS რეკლამას, ალბათ, დღეში რამდენჯერმე იღებთ. მომხმარებლების დაინტერესების მიზნით კომპანიები აგრესიულ სარეკლამო კამპანიას უკვე აღარ ერიდებიან, რაც არცთუ უსაფუძვლოდ, მოქალაქეთა გულისწყრომას იწვევს. ირკვევა, რომ „სპამ“ SMS რეკლამების გაგზავნით, კომპანიები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს არღვევენ. საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაც კი არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, 2016 წლამდე, მას უფლება არ აქვს, კომპანიებს პასუხი მოსთხოვოს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი სწორედ 2016 წლიდან ამოქმედდება. პარალელურად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ იმ კომპანიების სიას აქვეყნებს, რომლებიც საკანონმდებლო ნორმებს უგულებელყოფენ და მომხმარებლებს დღეში რამდენჯერმე, „სპამ“ SMS რეკლამებით თავს აბეზრებენ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-5 და მე-8 მუხლების მიხედვით, SMS-ების გამგზავნი პირი ვალდებულია, მოიპოვოს მომხმარებლის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების (სახელი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი) დამუშავებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მონაცემები საჯარო წყაროებიდან უნდა მოიპოვონ. არადა, „საჯარო წყაროს“ ქართული კანონმდებლობა არ განმარტავს, ამიტომ SMS-ების გამგზავნი პირი ვალდებულია, მომხმარებელს შეატყობინოს, რომ მას აქვს უფლება, უარი თქვას შეტყობინებების მიღებაზე, რასაც სამწუხაროდ, კომპანიები არ აკეთებენ.

SMS რეკლამების შესახებ განცხადება გაავრცელა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, თამარ ქალდანმაც. მან კომპანიებს არსებული საკანონმდებლო ნორმები შეახსენა და კანონის დაცვისკენ მოუწოდა. კომპანიები „სპამ“ SMS რეკლამებით მომხმარებელთა შეწუხებას მაინც განაგრძობენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კომპანიებმა არ უნდა მოაბეზრონ თავი პოტენციურ კლიენტებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მომხმარებლებმა უკმაყოფილება საჯაროდ დააფიქსირონ: **„ვიწყებთ იმ კომპანიების სიის გამოქვეყნებას, რომლებიც წინასწარი ნებართვის გარეშე, SMS რეკლამებს გვიგზავნიან. სიაში არ მოხვდნენ ის კომპანიები, რომლებმაც SMS-ების დაგზავნა მას შემდეგ დაიწყეს, რაც მომხმარებელმა მათთან ქულების დაგროვების ბარათი აიღო. SMS რეკლამებს გვიგზავნიან „ოლტურსი“, „ალტა“, „ამბოლი“, „არაი თუმოროუ“, „ბალდი“, „ბოში“, „კარფური“, „ჩიკ ბებე“, „სითი კლუბი“, „კლუბი 71“, „ელიტ ელექტრონიქსი“, „გასა“, „ჰინტერიორი“, „ქეი ეს ბი ბანკი“, „ლოტუსი“, „მედი“, „მეგალაინი“, „მ ნაპოლეონი“, „ნისანი“, „ოქეი“, „რაკ კერამიქსი“, „საფილო“, „სალამანდერი“, „სამსუნგი“, „სმაილი“, „ტექნო ბუმი“, „ტურისტული სააგენტო — საქართველო“, „ვივასუნი“. გაურკვეველია, როგორ მოიპოვეს მობილური მარკეტინგის კომპანიებმა მოქალაქეთა ტელეფონის ნომრები და სხვა მონაცემები. მობილური კავშირის ოპერატორმა კომპანიებმა განგვიცხადეს, რომ ისინი მომხმარებელთა შესახებ ინფორმაციას მესამე მხარეს არ უზიარებენ და არც ყიდიან. ვესაუბრეთ GeoSMS-ისა და Paradox Georgia-ს წარმომადგენლებს, რადგან ეს კომპანიები მობილურ რეკლამებს აგზავნიან. დაგვიდასტურეს, რომ მონაცემების რამდენიმემილიონიონიანი ბაზა აქვთ, თუმცა არ დააზუსტეს, რა გზით მოიპოვეს ისინი. ამბობენ, რომ კანონმდებლობა არ ავალდებულებს წყაროს გამხელას, მეტიც, ათობით ათასი SMS-ის გაგზავნა წინასწარი ნებართვის გარეშე, კანონს არ ეწინააღმდეგება“.**

2016 წლამდე, ვიდრე კანონი ამოქმედდება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ოფიციალურად შეძლებს, კომპანიებს პასუხი მოსთხოვს, მომჩივან მოქალაქეებს, რომლებსაც SMS რეკლამების მიღება არ სურთ, შეუძლიათ ელექტრონული წერილი გაგზავნონ მისამართზე: office@pdp.ge, ან დარეკონ ნომერზე: (+995 32) 2 14 68 31. „ვერსია“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, **თამარ ქალდანს** დაუკავშირდა: **„ბევრი მოქალაქე გვირეკავს და კონსულტაციებს იღებს ჩვენგან, რომორ მოითხოვონ SMS რეკლამების მიღების შეწყვეტა. რამდენიმემ განცხადებითაც მოგვმართა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი ძალაში 2016 წელს შევა, მანამდე ეფექტურად რეაგირების უფლება არ გვაქვს. მიუხედავად ამისა, წერილს ვამზადებთ და მივმართავთ კომპანიას, რომელმაც კონკრეტულ პირს SMS რეკლამა გაუგზავნა, დაიცვას კანონი და განუმარტოს მოქალაქეს, საიდან აქვს ინფორმაცია. მოქალაქის მოთხოვნის საფუძველზე, კომპანია ვალდებულია, წერილის მიღებიდან, 10-დღიან ვადაში, მონაცემთა დამუშავება შეწყვიტოს — მისი პერსონალური მონაცემები საერთო ბაზიდან ამოიღოს“.**

თამარ ქალდანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ მისი ინიციატივით, საკანონმდებლო ცვლილება მზადდება. სპეციალური, სამუშაო ჯგუფიც კი შეიქმნა, პარლამენტარების, სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით: **„ვმუშაობთ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პერსონალური მონაცემების დაცვას, კანონმდებლობას კი ევროპულ სტანდარტებს მიუახლოებს. ცვლილებები პირდაპირ მარკეტინგსაც ეხება, რადგან კანონის მოქმედების ვადა აუცილებლად უნდა გადახედოს. ჩემი ინიციატივაა, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონი 2016 წლამდე ამოქმედდეს. ისეთი ცვლილებებიც უნდა განხორციელდეს, რაც მოქალაქეს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნას გაუადვილებს. გვინდა მარტივი მექანიზმი შემოვიღოთ. მაგალითად, როდესაც კომპანია SMS რეკლამას აგზავნის, იქვე უნდა იყოს მითითებული ნომერი, რომელზე დარეკვის შემთხვევაშიც, რეკლამის მიღება შეწყდება. თუ სარეკლამო ტექსტს ელექტრონული ფოსტით იღებთ, ამავე გზით უნდა შეძლოთ მისი გაუქმება“.**

თამარ ქალდანს მიაჩნია, რომ კომპანიებმა მომხმარებლების ინტერესები უნდა დაიცვან და ყველაფერი გააკეთონ, რათა პოტენციური კლიენტები არ გააღიზიანონ.

მარკეტინგული თვალსაზრისით, რამდენად გამართლებულია კომპანიების სტრატეგია, SMS რეკლამების საშუალებით გაყიდონ პროდუქცია? უმჯობესი არ არის, კომპანიებმა კლიენტების ის ბაზა შექმნან, რომლებსაც ნამდვილად სურთ ამ ტიპის რეკლამებისა, თუ სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიღება? მარკეტინგ-საკონსულტაციო კომპანია TMG-ის დამფუძნებელი **ნიკო თევდორაშვილი** ამბობს: **„კომპანიისა ინტერესებიც უნდა გავითვალისწინოთ და მოქალაქეებისაც. როდესაც კომპანია მომხმარებელთან შეუთანხმებლად, რეკლამებს ელექტრონული ფოსტისა, თუ მობილური ტელეფონის საშუალებით აგზავნის, გარკვეულ უხერხულობას ქმნის. მეორე მხრივ — კომპანია მაქსიმალურად ცდილობს დახარჯოს ენერგია, რათა მომხმარებელი მოიზიდოს. შესაძლებელია, უფრო დახვეწილ ფორმასაც მიმართოს. მაგალითად, საკუთარი კლიენტების ბაზა შექმნას, რომლებსაც კონკრეტული კომპანიის სიახლეები აინტერესებთ. ამ შემთხვევაში, კომპანიაც და მომხმარებლებიც მოიგებენ, მაგრამ საქართველოში არსებული კომპანიების ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მარკეტინგში სტრატეგიული დანიშნულებით თანხის გადახდა მხოლოდ ხარჯია. შესაბამისად, ცდილობენ, ფართო აუდიტორია გაცილებით იაფად მოიზიდონ“.**

ნიკო თევდორაშვილის თქმით, ამ ტიპის „სენით“ მხოლოდ ქართული კომპანიები არ არიან შეპყრობილნი. ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემაა აშშ-ში, ასევე ევროპის ბევრ ქვეყანაში, სადაც კანონმდებლობის გამკაცრება უკვე დაიწყეს:

„მომხმარებლებთან შეუთანხმებლად, მისი მობილურის ან ელექტრონული ფოსტის „დასპამვა“ კანონით დაისჯება. ამერიკაში დიდი ხანია არსებობს კომპანიები, რომლებიც ფულს იმაში იღებენ, რომ არცერთმა კომპანიამ მოქალაქე არ „დასპამოს“. სხვათა შორის, ეს სატელევიზიო რეკლამაზეც კი ვრცელდება — ტელევიზორზე სპეციალურ აპარატს ამონტაჟებენ, სადაც სასურველი ტელეარხები შეჰყავთ. ერთ არხზე რეკლამის დაწყებისთანავე, აპარატის საშუალებით, კომპანია ავტომატურად გადართავს ალტერნატიულ არხზე, სადაც იმ დროს, რეკლამა არ გადის. თანდათან, საქართველოშიც დაიხვეწება ეს პროცესი. აქაც გაჩნდება კომპანიები, რომლებიც მოქალაქეებს „სპამ“ რეკლამებისგან დაიცავენ. მაგალითად, უკვე გამოჩნდა ფასიანი მომსახურება, რომლითაც მობილური ოპერატორების ელექტრონულ ბაზებში აღარ მოხვდებით“.

რატომაა ვილნიუსის სამიტი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

28-29 ნოემბერს, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, ევროკავშირის აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობის სამიტი გაიმართება. ქართველი დიპლომატები დიდ შედეგს — ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ, მოლაპარაკებების დასრულებას ელიან. ვილნიუსის სამიტზე, ევროკავშირი ასოცირების შეთანხმების პარაფირებას (საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ოფიციალურად ხელის მოწერამდე, წინასწარ, მხოლოდ ინიციალებით ხელის მოწერა, — ავტ.) მოახდენს. ეს უმნიშვნელოვანესია, რადგან პოლიტიკური ასოცირების შესახებ შეთანხმება სამართლებრივი დოკუმენტია, რომლითაც საქართველო უკვე პოლიტიკურად ასოცირდება ევროკავშირთან. ამის შემდეგ, პროცესი მხოლოდ ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით განვითარდება.

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის აპარატის ორგანიზებით, მედიის წარმომადგენლებისთვის სემინარი გაიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა, **თეა ახვლედიანმა** აღნიშნა, რომ საბოლოო ხელმოწერამდე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ტექსტი გასაიდუმლოებულია. ევროკავშირის წევრი ქვეყნები იხილავენ შესაძლებლობას, ტექსტი პარაფირებიდან ხელმოწერამდე პერიოდში გამოქვეყნდეს. უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ პარაფირების შემდეგ, ასოცირების ხელშეკრულებას საქართველო ხელს 2014 წლის სექტემბერში მოაწერს:

„პარაფირებიდან ხელმოწერამდე ერთწლიანი პერიოდი იმისთვისაა საჭირო, ასოცირების შეთანხმების ტექსტი ევროკავშირის წევრი ქვეყნების 24-ვე ენაზე, მათ შორის, ქართულადაც ითარგმნოს. ეს საკმაოდ რთული, დაახლოებით, 1 000-გვერდიანი ტექსტია, რომლის შინაარსის გაგება სპეციალისტებისთვისაც რთულია. საქართველოს დელეგაცია ამ ტექსტის ანოტაციას მოამზადებს. მას როცა ქვეყანა ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს, (ჩვენს შემთხვევაში ეს სავარაუდოდ, 2014 წლის სექტემბერში მოხდება), საჭიროა დოკუმენტის რატიფიცირება. დოკუმენტს კენჭს 30 ქვეყნის პარლამენტი უყრის. ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, საქართველოს ევროპეიზაციის პროცესი შეუქცევადი იქნება“.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე **მიხეილ ჯანელიძემ** განმარტა, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის — DCFTA-ს შეთანხმება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას ნიშნავს. მისი თქმით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზოდ თავისუფალ გადაადგილებაზე მუშაობა არ დასრულებულა: **„იმისათვის, რომ ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს, ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტები უნდა დაინერგოს. ევროკავშირმა საქართველოსთან მიმართებაში რეკომენდაციები შეიმუშავა, რაც ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების დაწესებას, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლს, ასევე კონკურენტული პოლიტიკის ამოქმედებას გულისხმობს. სამიტის შემდეგ, ველით ქართული პროდუქციის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, წარმოების მოდერნიზაციასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას“.**

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო დიდი ხანია ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე მუშაობს. კანონპროექტი თითქმის მზადაა, მაგრამ პარლამენტში განხილვა ჭიანურდება. ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის თქმით, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო 2014 წლიდან ამუშავდება. „ვერსიის“ კითხვაზე, მოასწრებს თუ არა პარლამენტი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის განხილვას ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან რატიფიცირებამდე და ნიშნავს თუ არა კვირიკაშვილის განცხადება კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს რეფორმას (ექსპრემიერმა ნიკა გილაურმა ეს სააგენტო გააუქმა და ფუნქცია შესყიდვების სააგენტოს ხელოვნურად მიაბა, — ავტ.), **მიხეილ ჯანელიძემ** უპასუხა:

„საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილება, ახალი მთავრობის პრიორიტეტების გაჟღერებამდე, ევროკავშირთან უკვე შეთანხმებული იყო. ცვლილებები, რომლის განხორციელებასაც ჩვენ ვგეგმავთ და რომელიც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოქმედებას გულისხმობს, ამ პროცესს ხელს არ შეუშლის. ინსტიტუციის გაძლიერებაც, ევროკავშირის რეკომენდაციებით ხდება. საკანონმდებლო ცვლილება უკვე მზადაა. პარლამენტი მალე განიხილავს. აუცილებელია, კონკურენციის სააგენტო დამოუკიდებელ და ტექნიკურად ძლიერ ინსტიტუციად ჩამოყალიბდეს“.

„ბევრმა ჩათვალა, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თანამდებობების დატაცება შეიძლება“

რა საკონსტიტუციო ცვლილებებს მოითხოვს საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა

ეროსუდან შელია
557-100-768

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ცვლილებები იგეგმება. კერძოდ, პრეზიდენტის ნაცვლად, აფხაზეთის მთავრობის მეთაურს აფხაზეთის საბჭო აირჩევს ან აღნიშნული კანდიდატურა პრემიერ-მინისტრთან შეთანხმდება. ინიციატივას არასამთავრობოები, დევნილთა და აფხაზეთის მთავრობის დეპუტატების ნაწილი ეწინააღმდეგება. ისინი მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე პრეზიდენტმა უნდა დანიშნოს. „ვერსიასთან“ საუბრისას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა საკანონმდებლო ინიციატივის მიზეზებს განმარტავს.

— საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი ხელოვნურად ინსპირირებული იყო. ხელს კონკრეტულად არავის დავადებ, თუმცა ფაქტია, ბევრმა ჩათვალა, რომ უმაღლეს საბჭოში თანამდებობების დატაცება შეიძლება. საქართველოს კონსტიტუცია ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ სრულად შეიცვალა, ამიტომ გვინდა, აფხაზეთის კანონმდებლობაც მასთან შესაბამისობაში იყოს. ცვლილებებს საჯაროდ განვიხილავთ, შეხვედრები გვქონდა რეგიონებში და გაფართოებული შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აკადემიაშიც გავმართეთ.

— **თუმცა ზუგდიდში შეხვედრა დევნილების პროტესტის ფონზე გაიმართა, ერთ-ერთმა დევნილმა კორუმპირებულიც კი გიწოდათ.**

— დიახ, ზუგდიდში ორი დევნილი ქალბატონი აჟიტირებული დაგვხვდა, მაგრამ ისინი უკმაყოფილონი, ძირითადად, სოციალური პრობლემების გამო იყვნენ... 2004 წლის 30 ნოემბრამდე აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მინისტრთა კაბინეტს თავად ნიშნავდა ან ათავისუფლებდა. მაშინდელი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ეს უფლება ჩამოგვერთვა და ქვეყნის პირველ პირს მიენიჭა, მაგრამ რატომღაც საზოგადოებას მაშინ ხმა არ ამოუღია, დღეს კი სწორედ წართმეული უფლებების დაბრუნებას ვცდილობთ. სხვათა შორის, აფხაზეთში ხშირად გვეკითხებოდნენ, რატომ გვინიშნავს თბილისი მინისტრებსო ანუ ეს ურთიერთობაში გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა.

— **არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივებს საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებიდან გადაცდომად აფასებს.**

— აბსურდია საუბარი, თითქოს სეპარატისტულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ. ერთ-ერთმა პიროვნებამ ისიც კი განაცხადა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ვაკეში აფხაზეთის ახალ რესპუბლიკას ქმნის და მალე ჯარსაც მოითხოვსო. იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ცვლილებების გამო შორიდან გვაკრიტიკებენ, მოვუწოდებ კანონპროექტზე ჩვენთან ერთად იმუშაონ. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღშფოთებულია — მინისტრთა კაბინეტს მხოლოდ 22 საბჭოს წევრი არ უნდა ირჩევდესო, არადა სულ 24 ადამიანი ვართ.

— **მაშინ განმარტეთ, რატომ გახდა აუცილებელი კონსტიტუციაში ამ ცვლილებების შეტანა და რა როლს შეასრულებს უზენაესი საბჭოსთვის უფლებამოსილების გაზრდა აფხაზეთთან ურთიერთობის აღდგენის პროცესში?**

— რაღაც დონეზე აფხაზებთან კონტაქტი გვაქვს. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან 40-ზე მეტი ადამიანი სამედიცინო დახმარების მისაღებად გადმოვიდა. როცა საქართველოს კონსტიტუციაში ავტონომიების საკითხი დადგა, კანონში მხოლოდ აჭარის მთავრობის საკითხი გაიწერა. კერძოდ, აჭარის მინისტრთა საბჭოს, თავმჯდომარის არჩევა პრეზიდენტთან შეთანხმებით შეუძლია, ხოლო თუ ერთ კანდიდატზე აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდება, ქვეყნის პირველ პირს აჭარის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის დაშლის უფლება აქვს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკითხი კონსტიტუციურად მოწყობილი არ არის და მხოლოდ ხუთჯერაა კანონმდებლობაში ნახსენები. ჩვენი დაშლის უფლება პრეზიდენტს არ აქვს, რადგან აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ერთადერთი ორგანოა, რომლითაც საქართველო აფხაზეთთან ლეგიტიმურობას ინარჩუნებს. გაერო-მ და ეუთო-მაც არაერთხელ დააფიქსირა პოზიცია — თუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დაიშლება და ახალ არჩევნებს დევნილებს შორის ჩავატარებთ, ავტომატურად ვაღიარებთ აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებსაც. პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვის მიუხედავად, აჭარასთან მიმართებაში არსებული კანონები კონსტიტუციაში დარჩა, აფხაზეთი — არა. სწორედ ამიტომ დავიწყეთ ცვლილებებზე საუბარი.

— **კანონპროექტს უკვე აქვს საბოლოო სახე თუ კიდევ შეიძლება მასში შესწორებები შევიდეს?**

— ვინც ამ საქმით ინტერესდება, ყველას შევხვდებით და მოვუსმენთ. ამ მიმართულებით უკვე მუშაობენ ვახტანგ ხმალაძე, უნივერსიტეტის პროფესორები და თავისუფალი ექსპერტები... გაუგებარია, საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ მსგავსი ვნებათაღელვა. სამწუხაროდ, აფხაზები საქართველოს კონსტიტუციასაც კი არ აღიარებენ. ბევრს ისიც ავიწყდება, რომ დევნილებთან პრობლემების გადაჭრის კუთხით შეხება არ გვაქვს და მხოლოდ შუამავლის როლს ვასრულებთ. თუ დევნილმა ფედერალურ სტრუქტურებს ხმა ვერ მიაწვდინა, ამ შემთხვევაში ვეხმარებით. შარშან 4000-ზე მეტმა ადამიანმა მოგვმართა და უმრავლესობას დავეხმარეთ.

— **კოალიციის მმართველობის პირობებში, აფხაზეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა?**

— ამ მიმართულებით დადებითი სიმპტომები მართლაც იკვეთება. მაგალითად, ჩემი ახლობელი ოქტომბერში აფხაზეთში ქართული ოჯახის ქორწილში იმყოფებოდა, სადაც რუსულ და ინგლისურ სიმღერებთან ერთად, ქართული მუსიკაც დაუკრეს. ადრე მსგავსი ფაქტების მიმართ აფხაზებს აგრესია ჰქონდათ და აპროტესტებდნენ. როგორც ჩემი ახლობელი მიამბობს, ქორწილში ქართული კულტურით ყველა ნასიამოვნები დარჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო დონეზე ურთიერთობების აღდგენა დაიწყო. სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვი აფხაზეთის ელიტურ საზოგადოებაზე — მათ კავშირი პირდაპირ კრემლთან აქვთ და დავალებებსაც მოსკოვიდან იღებენ.

„სააკაშვილს ბრალი ნავუყენოთ და შემდეგ შევიწყალოთ“

წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერი ვაჟა ნიკლაური ხელისუფლებას ინიციატივას სთავაზობს

დავით დევიძე
593-219-042

ქვეყანა, სადაც შერჩევითი სამართალია, ძლიერ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება. ეს პოლიტიკური აქსიომა ყველასთვის ცნობილია. მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ხელისუფლებას შერჩევითი სამართალში ამხელს და აპროტესტებს, რომ ყოფილი ჩინოვნიკები — „მძიმეწონიანი“ დამნაშავეები უდარდელად დააბიჯებენ ქუჩებში და მათ თავისუფლებას არაფერი ემუქრება. ამგვარი შერჩევითი სამართალი ჩვენთან კოჰაბიტაციამ მოიტანა. პოლიტიკური ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ ნაციონალური ხელისუფლებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება ამერიკულ-ევროპული დირექტივა და შესაბამისად, ხელისუფლება, გარკვეული დილემის წინაშე დგას — დააპატიმრებს „მძიმეწონიან დამნაშავე ნაციონალებს“, ამერიკა-ევროპასთან იქმნება პრობლემა, არ დააპატიმრებს და საზოგადოებაში უკმაყოფილება გაიზრდება. არადა, მოქალაქეების ნაწილი უკვე აცხადებს, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების მოთხოვნით, საპროტესტო აქციები დავიწყოთო. როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება, რათა მოსალოდნელი უსიამოვნებები თავიდან აიცილოს? — წინააღმდეგობის მოძრაობა „იბერიის“ ლიდერი ვაჟა ნიკლაური ხელისუფალთ საინტერესო წინადადებას სთავაზობს.

— თუ სააკაშვილის დაპატიმრება ქვეყნისა და მისი იმიჯისთვის კარგისმომტანი არაა, წავიდეთ დათმობაზე — სააკაშვილს დანაშაული თუ დაუმტკიცდა, გამოვუტანოთ შესაბამისი განაჩენი, შემდეგ კი შევიწყალოთ. ყველას, მათ შორის თავადაც ეცოდინება, რომ დამნაშავეა და ციხეში მხოლოდ ხელისუფლების გულმოწყალების გამო არ ზის. მესმის, ეს წინადადება უჩვეულოდ ჟღერს, მაგრამ მოცემულ ვითარებაში, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია.

— **როგორ მოვიქცეთ მისი გუნდის სხვა წევრებთან დაკავშირებით?**

— სააკაშვილის მაგალითის სხვებზე გავრცელდება არაა აუცილებელი. ყველა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს და ეს სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს. ნაციონალური მოძრაობა დესტრუქციულ ძალად იქცა. ამ ხალხის უმეტესობა ციხეში უნდა იჯდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უფრო დიდ ზიანს მოუტანენ ქვეყანას.

— **რა ზიანზე საუბრობთ?**

— სოჭის ოლიმპიადის ჩამთავრების შემდეგ რუსეთი საქართველოს მიმართ ზეწოლას გააძლიერებს, რაზეც ადრე მოგახსენეთ. მან უკვე სერიოზული დარტყმა მიაყენა ჩვენზე გაცილებით ძლიერ უკრაინას, ახლა კი ჩვენი ჯერი დგება. რუსეთიდან ახალი სამხედრო აგრესია ნაკლებად მოსალოდნელია. სავარაუდოდ, იგი ენერგეტიკულ ბერკეტებს გამოიყენებს, რაიმე მიზეზით ბუნებრივი გაზის გათიშვა, ან გაძვირება ჩვენს ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ეს ნაციონალებს გააააქტიურებს. იტყვიან, ახალ ხელისუფლებას ქვეყნის მართვა არ შეუძლიაო, პროცესში „მეხუთე კოლონა“ ჩაერთვება და დესტაბილიზაციაც სახეზეა. რუსეთის ძალა რომ შევასუსტოთ, აქ უნდა გავანეიტრალოთ. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ ტარდება და რჩება ერთი გზა: პროკურატურამ უნდა გააძლიეროს მუშაობა და სისხლის სამართლის საქმე დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას ყველა იმ პირის მიმართ, ვის საქმეშიც დანაშაულის ნიშნები არსებობს.

— **ნიშნები შეიძლება არსებობდეს, მაგრამ დღემდე ბევრს ვერ დაუმტკიცეს ჩადებული დანაშაული.**

— ვის ვერ უმტკიცებენ? ღარიბაშვილმა პირში მიახალა გია ბარამიძეს, ტერორისტული ოპერაცია გაქვს ჩატარებულიო, მეტი რა უნდა თქვას პრემიერმა? 26 მაისს ვინ გასცა ხალხის დარბევის ბრძანება და ეს ბრძანება ვინ აღასრულა ამის დადგენა რატომაა შეუძლებელი? 7 ნოემბერს ხალხი ფეხქვეშ ვინც გაიფინა, მათ გამოვლენას რა დიდი ამბავი უნდა? პროკურატურა თავის სიმაღლეზე თუ აღმოჩნდება, სამართლიანობის აღდგენა პრობლემა არ არის. ეს იმისთვის კი არაა საჭირო, ჯიბრით დავიჭიროთ ყველა, ამას მოითხოვს სამართლიანობა. ხალხი დაინახავს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი ყოფილა, ნდობა გაიზრდება ხელისუფლების მიმართ. პარალელურად, ციხეში მყოფ დესტრუქციულ ძალებს ნაკლები საშუალება ექნებათ, ნეგატიური გავლენა მოახდინონ გარემოებებზე. ახალაია რომ ლამის უმწიკვლო ანგელოზად გამოიყვანეს, რა უნდა იმის დამტკიცებას, რომ ეს კაცი ქვეყნის მოღალატეა? თავდაცვის მინისტრი რომ გაფუჭებულ იარაღს შეისყიდის, ეს ღალატი არ არის? გადაჭრელებულია ინტერნეტი ცნობებით, ახალაიამ 12 მილიონის პირველი გამოშვება „აკ-47“ რომ შეიძინა. ერთ ამ ავტომატში 290 ევროა გადახდილი და სინამდვილეში, კაპიკიც არ ღირს, რადგან არ ისვრის. ეს არასაკმარისი ბრალდებაა? დავუშვათ მოუგონეს, მაშინ, ვინც მოუგონა ის დაიჭირონ. ეს არის ჭეშმარიტი სამართლიანობა. მონდომების შემთხვევაში ყველაფერია შესაძლებელი და ღარიბაშვილის პარლამენტში გამოსვლაც იმედს მაძლევს, რომ სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს.

შოთა წვენიაშვილი ქართული ხელოვნების ტრფიალი ისრაელის წმიდა მიწაზე!

იმაზე მეტი რა უნდა ვთქვა ან რა ეპითეტები მოვიძიო ქართული ენის უშრეტი მარგალიტებიდან, ქართულ-ებრაული ურთიერთობის სახოტბოდ რომ არ თქმულა, არ მოხმობილა, არ დაწერილა... და მაინც, ეს ისეთი ამოუხსნელი ფენომენია, რაზეც სათქმელ-დასაწერი არასოდეს გამოგველევა. ამ ურთიერთობას მხოლოდ მოვლა უნდა, ყველა თაობამ სული უნდა შთაბეროს, საუკუნეებს გამოტარებული სიყვარულის ნაღვერდალი რომ არ მინავლდეს. ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ალია საქართველოდან დაიწყო. ისრაელში ასულმა ქართველმა ებრაელებმა ეროვნულ საგანძურში შეიტანეს ქართული ტრადიცია. იქაც ქართული სულისკვეთებით ცხოვრობენ, არ ივიწყებენ და უსაზღვროდ უყვართ საქართველო, ქართველი ხალხი, ქართული ყოფა, ქართული ცა და მიწა... ერთ-ერთი მათგანი, ვინც ყოველივე ქართულის სიყვარულს, ლამის მთელი სიცოცხლე შეალია, არის ცნობილი მოცეკვავე, მსახიობი, ორი ერის კულტურის დესპანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქორეოგრაფი შოთა წვენიაშვილი. სწორედ ბატონმა შოთამ დაარწია ქართული კულტურის, ხელოვნების პირველი აკვანი წმინდა მიწაზე, ხაიფასა და ჩრდილოეთის ოლქის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ქართული ანსამბლის შექმნით, რომლის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელია დაარსების დღიდან.

შოთა წვენიაშვილი საქართველოში, იმერეთში, ზესტაფონში, დაიბადა 1943 წლის 2 დეკემბერს, მრავალშვილიან ოჯახში. ათი შვილის — ხუთი ვაჟისა და ხუთი ქალის გამზრდელ დედას, მაშინდელმა მთავრობამ „გმირი დედის“ წოდება მიანიჭა. შოთას მამა, გაბო (გაბრიელი), მეტად მოკრძალებული, მშრომელი, პატიოსანი კაცი იყო. ქუჩაში შემხვედრს უსათუოდ იმერული თავაზიანობით მიესალმებოდა, „ცილინდრს“ თავდახრით მოიხდიდა ხოლმე.

მუსიკალურ ოჯახში დაბადებული შოთა პატარაობიდანვე გამოირჩა ცეკვისამდი მიდრეკილებით და მშობლებმა იგი ზესტაფონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მიიყვანეს, ქორეოგრაფიულ სტუდიაში. მალევე გახდა ბავშვთა ანსამბლის წევრი, მოზრდილებშიც გადაიყვანეს და მოცეკვავეთა ნაკრებ ანსამბლშიც ჩარიცხეს. სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე ცნობილ ანსამბლშიც ცეკვავდა. წარმატებით გამოდიოდა კონცერტებზე, დადიოდა გასტროლებზე, მოიარა ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქი, საიდანაც პრიზებითა და დიპლომებით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა. პარალელურად შოთა თბილისის მუსიკის, თეატრისა და ქორეოგრაფიის სასწავლებელში სწავლობდა. ყოველთვის საუკეთესო პედაგოგები ჰყავდა, რომელთა მეცადინეობითაც გამოიკვეთა ახალგაზრდა მოცეკვავის ტალანტი, რომელსაც მოფრთხილება და სასურველ კალაპოტში მოქცევა სჭირდებოდა. შოთა წვენიაშვილის ქორეოგრაფად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი საქართველოს სახალხო არტისტს, მიხეილ შუბაშიკელს მიუძღვის, ხოლო მისი საბოლოო დაოსტატება ცნობილი ქორეოგრაფის, ბუხუტი დარახველიძის ანსამბლში მისივე ხელდასხმით მოხდა. ბატონი შოთას პედაგოგები იყვნენ, აგრეთვე, ღვაწლმოსილი ადამიანები, დამსახურებული პროფესიონალი ხელოვანები – ოთარ პაპიაშვილი, ავთო თეთრაძე, მიშა ბახტაძე, ბიჭიკო ჭიჭინაძე, მიხეილ სებუა, ზალიკო ლოლაძე, მიხეილ ჩირინაშვილი, სულიკო ხაჭაპურიძე, რევაზ აბრამიშვილი...

1969 წლიდან შოთა წვენიაშვილი მშობლიურ ზესტაფონს დაუბრუნდა და თავისი პედაგოგების მიხეილ შუბაშიკელისა და მიხეილ სებუას თანადგომით, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „იმერეთი“ ჩამოაყალიბა. მალე ანსამბლმა დიდ წარმატებებს მიაღწია და დამსახურებულად მიიღო სხვადასხვა ფესტივალების ლაურეატობა. დასაბამი მიეცა ტრიუმფალურ საგასტროლო ტურნეს საზღვარგარეთ: რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, უნგრეთი...

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, შოთა წვენიაშვილს სხვა ანსამბლებიც ქორეოგრაფ-კონსულტანტად იწვევენ. 150-კაციან მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მზიურს“ შოთას დადგმულმა ქორეოგრაფიულმა სუიტამ — „ხევსურული ბალადა“ — წარმატებები მოუტანა, კერძოდ, ქუთაისში გამართულ დასავლეთ საქართველოს ფესტივალზე გაიმარჯვა. ცალკე აღსანიშნავია, რომ ქორეოგრაფიასთან ერთად, შოთა წარმატებით მოღვაწეობდა ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში, სადაც რამდენიმე მთავარი როლიც შესრულდა წამყვან სპექტაკლებში.

და აი, 1972 წელი... იწყება დიდი ალია და ბატონი შოთაც ამ ტალღაშია. სხვაგვარად არ ძალუძთ ქართველ ებრაელებს, თორემ სული და გული აქ რჩებათ. გამზრდელ სამშობლოს ტოვებენ, რადგან ისტორიული სამშობლო უხმობთ. გაურკვეველია, რა ელოდებათ წინ, თან ქართველი ხალხისა და საქართველოს სიყვარული უკან ექაჩებათ... ო, რა მძიმეა ეს გაორება, ტკივილი, სევდა, ნოსტალგია...

ისრაელის წმინდა მიწაზე ასვლის დღიდან შოთა წვენიაშვილის ცნობიერებაში ჩნდება აზრი, რომ ხელოვან კაცს შესისხლხორცებული ქართული კულტურის, ქართული ცეკვების გარეშე გაუჭირდება. მეორეც არის, საქართველოდან ისრაელს ასულთ, ასე უცებ მოწყვეტა დედასამშობლოდან გაუჭირდება და ბატონმა შოთამაც, როგორც იტყვიან, შიშველი ხელებით დაიწყო მცირე სტუდიების შექმნა, ბავშვების მოძიება... უჭირდა, მაგრამ შველოდა ენთუზიაზმი, სილაღე. ახალგაზრდა კაცია, იმედიანი, შემართული, ძარღვებში სისხლი უჩქეფს, გასაქანს არ აძლევს ფიქრი, მონატრება... დოლ-გარმონის ხმაზე კუნთები უხტის...

ცოლ-შვილი ნაქირავებ ბინაში მოაწყო, ნალოლიავები პიანინო გაყიდა და ამ ფულით ანსამბლის წევრებს ფორმა შეუძინა. სანამ გაიცნობენ, სანამ დააფასებენ და აღიარებენ, თვითონ უნდა გამოძებნოს სახსრებიცა და საშუალებაც. თვალანთებულ ბიჭუნებს თვითონ უკემსავს გარღვეულ ჩოხას, აცმევს აზიურებს, უსწორებს ქამარ-ხანჯალს, ასწავლის ლეკვერთხების შეკვრას... ოღონდ იცეკვონ, ოღონდ სცენაზე ცეცხლი დაანთონ...

გაორების ტკივილიანი შეგრძნება არც ერთ ქართველ ებრაელს არ ტოვებდა, მათაც ხომ, შოთას მსგავსად, დილით სველ ბალიშზე ეღვიძებოდათ, ისინი ხომ ყოველღამ სიზმარში საქართველოს, თავიანთ სახლ-კარს, ეზოს, უბანს, მეზობელ-მეგობრებს ხედავდნენ... და შოთას მხარში ამოუდგნენ, მიუყვანეს შვილები, ქართული ცეკვის მადლს, ქართულ ხელოვნებას რომ ზიარებოდნენ.

შოთა წვენიაშვილის ანსამბლის კონცერტებზე უკვე ბილეთების შოვნა ჭირდა, უზარმაზარი დარბაზები ხალხით იყო გადაჭედილი. ანშლაგით მიდიოდა დაუღალავი შრომით ფეხადგმული ანსამბლის კონცერტები, როკვით განფენილი ქართული გენიით აოცებდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ისრაელს ამოსულ ებრაელებსაც. არ ცხრებოდა ტაში, ოვაცია, ყვავილები...

„ისრაელში ამოსვლისთანავე ჩამოვაყალიბე სტუდიები, რომლებიც ხაიფას რაიონის რვა ქალაქში ერთდროულად გავხსენი. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მხარში ამომიდგნენ ქართველი ებრაელები, ქალაქის მერები, მთავრობა, — იხსენებს ბატონი შოთა, — ჩემი მიზანი იყო შემენარჩუნებინა ქართული ცეკვა, სიმღერა, ტრადიციები... დღემდე ასე ვარ. ისრაელში დაბადებული მეექვსე თაობის ბავშვები მოჰყავთ ჩემთან, ქართული ცეკვები რომ ისწავლონ. აქ არა მარტო ცეკვას სწავლობენ, არამედ ვზრდით ღირსებით, ზნეობით. მოცეკვავემ მარტო ფეხის გასმა კი არ უნდა იცოდეს, ქართულ კულტურას, ადათ-წესებს უნდა იცნობდეს. ისრაელში დაბადებულმა ბავშვმა შეიძლება არც ქართული იცოდე არც ის, თუ სად არის საქართველო, მაგრამ მან იცის, რომ ქართველი ქალის მიერ ჩამოგდებული მანდილი ბრძოლის დასასრულია, რომ ქართული ცეკვის დროს სიყვარულით გაშმაგებული ვაჟი კდემამოსილი ქალის კაბის კალთასაც კი არ უახლოვდება. ჩემი მოცეკვავე გოგო-ბიჭები მაცოცხლებენ და მადღეგრძელებენ. მიხარია, რომ მათაც ისრაელში ქართველები, ქართული ანსამბლი ჰქვიათ, ქართულ ცეკვებს ცეკვავენ. ტრადიცია გრძელდება!“

რა თქმა უნდა, ტრადიცია უნდა გაგრძელდეს. თქვენმა დაფრთიანებულმა შევარდნებმა არ შეიძლება, არ იტვირთონ ეს მისია. თქვენი ვაჟიც ხომ ბაბუის მოსახელე გაბო (გაბრიელი) თქვენს საქმეს აგრძელებს. ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეაო, — უთქვამთ. თქვენ წლებმა, მართლაც, შეგმატათ ღირსება და აღიარება, სახელი და დიდება. მართალია, არაფერი მითქვამს იმ ჯილდოებზე, რომლებიც დამსახურებულად მიგიღიათ ამ წლების განმავლობაში, არც ღირსების ორდენი ვახსენე, არც ფაზისის აკადემიის აკადემიკოსობაზე მითქვამს რამე, არც ის, წლების განმავლობაში ქალაქ კირიათ ბიალიკის კულტურისა და აბსორბციის განყოფილებას რომ ხელმძღვანელობთ... სხვებს დავუტოვე სათქმელად ისიც, რომ დიდი წვლილი მიგიძღვით ზესტაფონისა და კირიათ ბიალიკის დაძმობილებაში. თქვენი მოწვევითა და მასპინძლობით რამდენმა კარგმა ქართველმა მოიარა წმინდა მიწა, არც ის მითქვამს, ზესტაფონის საპატიო მოქალაქედ რომ აგირჩიეს და არც ის, ულამაზესი, უძლიერესი, ჭერმაღალი და უსაყვარლესი ოჯახის უფროსი რომ ბრძანდებით, მთელი ცხოვრება რომ ერთგულად გიდგათ გვერდში, უმშვენიერესი ქალბატონი ეთერი... ამას ხომ ისედაც ყველა კარგად ხედავს.

თქვენი საყრდენი თქვენი დიდი ოჯახია — სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი! ღმერთმა გამრავლოთ, გახაროთ და გადღეგრძელოთ! დიდხანს იცოცხლეთ, მხნედ და ჯანმრთელად, 70 წელი მხოლოდ თქვენი ცხოვრების შუადღეა... როგორც ებრაელებმა იცით დალოცვა ად მეა ვე ესრიმ — 120 წლამდე.

ლეილა ნოდია

გენმოდიფიცირებული პროდუქტი — შიმშილისგან მხსნელი თუ დაავადებების წყარო

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

შეძლებს თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტი, კაცობრიობა მოსალოდნელი შიმშილისგან ისე იხსნას, რომ ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნას? რატომ არ არსებობს დასკვნა, გმო-ს უვნებლობის შესახებ? რა დილემის წინაშე დგანან მეცნიერები და როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას ქართულ ბაზარზე გმ პროდუქტის შემოტანასთან დაკავშირებით? — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ზურაბ ძუჩუკაშვილი „ვერსიას“ გმ ორგანიზმების შექმნის მიზეზებზე, მეთოდებსა და უვნებლობა-მავნებლობაზე ესაუბრება.

„რისკი არსებობს, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულება, უქმნის თუ არა გმო ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს“

— გენმოდიფიცირებულია ორგანიზმი, რომელშიც ხელოვნურადაა შეცვლილი ორგანიზმის გენოტიპი. შეიძლება, ერთი გენი იყოს ჩამატებული ან პირიქით, ამოღებული, შეიძლება შეცვლილი იყოს გენთა თანმიმდევრობა. ადრე ჯიშების გამოყვანა ხდებოდა კლასიკური სელექციის მეთოდით, თანამედროვე მეცნიერება კი იძლევა საშუალებას, ხელოვნურად გადავიტანოთ სასურველი გენი ორგანიზმში და შევცვალოთ მისი ნიშან-თვისება.

— გენმოდიფიცირებას, კლასიკურ სელექციასთან შედარებით, რა უპირატესობები აქვს?

— გენის გამყარებასა და ახალი ჯიშის მიღებას, ადრე 5, 10, 15 წელი სჭირდებოდა. გმო-ს მიღების ტექნოლოგია კი იძლევა საშუალებას, ერთ წელიწადში მივიღოთ სასურველი პროდუქტი. გარდა იმისა, რომ დროს ვიგებთ, შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზმში ისეთი სახეობის გენის გადატანა, რომელიც აქამდე ბუნების კანონზომიერებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ანუ, ფაქტობრივად, ვაჯვარებთ ისეთ სახეობებს, რომელთა შეჯვარება კლასიკური სელექციის მეთოდი, ვერ მოხდებოდა. მაგალითად, ფარმაციაში გამოიყენება მეთოდი — ბაქტერიებში გადააქვთ ადამიანის ინსულინის წარმოების გენი და შესაბამისად, ბაქტერიებით ხდება ინსულინის წარმოება.

— ინსულინის შემთხვევაში, ადამიანის გენია გამოყენებული და მისი მიღება ადამიანის ჯანმრთელობას პრობლემას ალბათ ამიტომ არ უქმნის. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი ამა თუ იმ გმ პროდუქტის მისაღებად ვირთხის, ვეშაპის ან დათვის გენს იყენებენ?

— ხშირად ამბობენ, თევზის გენი საზიანოაო, არადა, ზოგადად, „თევზის გენი“ — ასეთი ცნება არ არსებობს. შეიძლება თევზიდან ავიღოთ ერთი გენი, რომელიც მაგალითად ცილას აკოდირებს და ის გამოვიყენოთ. გენის გადანერგვის შედეგად არ ხდება ცხოველის მთელი ნიშან-თვისებების წამოღება. ჩრდილოეთის წყლებში მობინადრე თევზებს აქვთ გენი, რომელიც ხელს უწყობს მათ ყინვაგამძლეობას. ამ გენს თუ ამოვიღებთ და რომელიმე პროდუქტში, მაგალითად პომიდორში გადავნერგავთ, მას შევძენთ ყინვაგამძლეობას, მარამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ პროდუქტს ფარფლიც გაეზრდება და თევზის სუნიც ექნება. ამ თვისებებს სხვა გენები აკოდირებს.

— ანუ გმ პროდუქტის მიღება უსაფრთხოა და ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის?

— საკვები პროდუქტის უვნებლობის კუთხით, გარკვეული რისკები და კითხვის ნიშნები ნამდვილად არსებობს, მაგრამ არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულება, უქმნის თუ არა ადამიანის ჯანმრთელობას გმ პროდუქტის მიღება საფრთხეს. ზოგადად, ამგვარი პროდუქტი იმიტომ აწარმოეს, რომ სავარაუდოდ 2050 წლისთვის დედამიწას შიმშილის პერიოდი შეიძლება დაუდგეს. იზრდება ადამიანის პოპულაცია და რესურსი, რითაც ის შეიძლება გამოვკვებოთ, წლების შემდეგ არასაკმარისი იქნება, ამიტომ საჭიროა, რაიმე მეთოდით შევცვალოთ რესურსი — ავითვისოთ აქამდე აუთვისებელი ნიადაგი, გავაუმჯობესოთ პირუტყვის შობადობა, ჯიშების ნიშანთვისებები, რომ უფრო მეტი საკვები პროდუქტი მივიღოთ.

— გასაგებია, მაგრამ თუკი გმო ადამიანის ჯანმრთელობას შეუქმნის პრობლემას, როგორღა უნდა ჩავთვალოთ ის შიმშილისგან კაცობრიობის ხსნის რესურსად?

— ზოგადად, ყველა სიახლეს გარკვეული შიში მოსდევს. ამის მიზეზი ისაა, რომ არ ვიცით, რეალურად რასთან გვაქვს საქმე. რისკები უნდა ავწონ-დავწონოთ. 60-იან წლებში იგივე რეაქცია მოჰყვა სოფლის მეურნეობაში „მწვანე რევოლუციას“, პესტიციდების შემოღებას. სასუქის გამოყენებამ მაშინ მოსავლიანობა 20-25%-ით გაზარდა და გარკვეულწილად, იმ პერიოდში არსებული შიმშილი დაძლია მსოფლიომ. მაშინ არავინ ფიქრობდა შექმნიდა თუ არა ეს პრობლემას, მხოლოდ მოგვიანებით დარეგულირდა, რომელი სასუქის რა რაოდენობით გამოყენებაა შესაძლებელი. ისიც გამოჩნდა, რომ ზოგი პესტიციდი, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა, სახიფათოა და აიკრძალა, ეს კი იმას არ ნიშნავს, ყველა პესტიციდის გამოყენება ავკრძალოთ. ეს მოსავლიანობას დაწევს და საკვები პროდუქტის უსაფრთხოებას (უვნებელი საკმარისი საკვები, რომლითაც პოპულაციას გამოკვკვებავთ) შეუქმნის პრობლემას. გმო-სთან დაკავშირებით ჯერ არ არის მსგავსი რეგულაციები, რადგან არ არსებობს მტკიცებულებები, რომ ის მავნეა.

— მტკიცებულება არ არის მაგალითად, ფრანგების მიერ ვირთხებზე ჩატარებული ექსპერიმენტი — 3 წლის განმავლობაში, ვირთხების იმ ჯგუფში, რომელსაც გენმოდიფიცირებული სიმინდითა და ხორბლით კვებავდნენ ყველა მღრღნელი კიბოთი დაავადდა? მსგავსი კვლევები ბევრი ქვეყნის ხელისუფლებისთვის გახდა საფუძველი, ქვეყანაში გმ პროდუქტის, ასევე გმ თესლისა და ნარგავების შეტანა აეკრძალათ.

— მესმის, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არის მხოლოდ კორელაცია, ჩატარებული ცდები, მაგრამ არ აქვს მასობრივი ხასიათი. თან, პარალელურად, სხვა ჯგუფმა საპირისპიროც დაადგინა. არც ფრანგების მიერ ჩატარებული კვლევის შემთხვევაში გვაქვს პირდაპირი მტკიცებლება, რომ იმ გმ პროდუქტში, რომელსაც ვირთხებს აძლევდნენ, გამოყვეს კარცეროგენი, რომელიც იწვევს სიმსივნეს. ნახეს, რომ ვირთხები კიბოთი დაავადდნენ, მაგრამ კონკრეტულად რამ გამოიწვია ეს, არაა დამტკიცებული. თავის დროზე ასე მოხდა თამბაქოსთან დაკავშირებითაც. თავიდან იყო კორელაციები — იწვევს თუ არა სიმსივნეს? მერე ნახეს, რომ თამბაქოში ნამდვილადაა კარცეროგენები, მაგრამ მაინც არ აკრძალეს. სამაგიეროდ, აკრძალეს დდტ-ს პესტიციდები, იგივე „დუსტი“, რადგან დაადგინეს, რომ მასში ნამდვილადაა კარცეროგენი.

— მოკლედ, არაა დამტკიცებული, რომ გმო ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს, მაგრამ ვერც იმას ვამტკიცებთ, რომ უვნებელია?

— დიახ, დილემის წინაშე ვდგავართ. რაც შეეხება გმ თესლს, აქ უკვე დამტკიცებულია, რომ გმ სათესლე მასალა ნამდვილად უქმნის პრობლემებს ბიომრავალფეროვნებას. დამტვერვით, შესაძლოა ენდემური ჯიშების გადაგვარება მოხდეს. ასე რომ, სახელმწიფომ, გმ თესლის შემოტანა შეიძლება აკრძალოს. კარტახენას პროტოკოლის სპეციალური მოთხოვნაა, ქვეყანაში არსებობდეს ორგანიზაცია, რომელიც ნებართვას გასცემს ან აკრძალავს გმო პროდუქციის შემოტანას. მაგრამ ეს ყველაფერი უნდა იყოს არგუმენტილებულად დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო შეიძლება დაჯარიმდეს. მთავარი პრობლემა კი იცით რა არის? გმო-ს შესახებ ინფორმაცია მაქვს, ძირითადად, სამეცნიერო სტატიებიდან და თუ არ მექნა საშუალება, ჩავერთო გმო-ს მიღება-კვლევაში, ვერ ვისაუბრებ, უვნებელია თუ არა. მე უნდა გაგიზიაროთ უცხოეთის პრაქტიკა, არადა, ეს არასწორია — სტატიებში კვლევების საბოლოო ეტაპი იწერება. ძირითადად ის, რაც უნდათ, რომ გვანახონ. გმ პროდუქტს რომ ამზადებენ, 100%-დან შეიძლება ერთმა გაამართლოს. დანარჩენი ორგანიზმი რატომ იხოცება, ეს არ ვიცით.

— კვლევაში ქართველი მეცნიერები როგორ უნდა ჩაერთონ?

— სამეცნიერო პროგრამები უნდა დაფინანსდეს. სამეცნიერო ფონდი აფინანსებს გარკვეულ პროექტს, მაგრამ კონკრეტულად, ამ მიმართულებით არა. ზოგადად, გმო-ზე მუშაობენ მულტიმილიარდერი კომპანიები. აქვთ თანამედროვე აპარატურა და ჰყავთ ყველაზე ძლიერი მეცნიერები. მათ უნდა გავუწიოთ კონკურენცია. მათ მიერ გაკეთებულ დასკვნას, არგუმენტები უნდა დავახვედროთ. თუ საწყის ეტაპზე ქართველ მეცნიერს იგივე აპარატურა აქ არ ექნება, იმ კომპანიების ლაბორატორიებში ჩასვლის საშუალება მაინც უნდა ჰქონდეს. ისიც დაწვრილებით უნდა გავიგოთ, ზოგმა ქვეყანამ რატომ აკრძალა გმ პროდუქტის შეტანა ბაზარზე და ზოგი ქვეყანა რა არგუმენტით აწარმოებს იგივე პროდუქტებს წლების განმავლობაში. მერე ეს მეთოდი ჩვენს კლიმატს უნდა მოვარგოთ, ამასობაში, ყველა კითხვაზე პასუხი გამოჩნდება და ისიც გაირკვევა, ზოგადად გმო არის თუ არა სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან რომელი გმ პროდუქტია მავნე.

— ესე იგი, შეიძლება ითქვას, ერთ დიდ და ხანგრძლივ ცდაში ვმონაწილეობთ, რომელიც არ ვიცით, საბოლოოდ, რა შედეგით დასრულება?

— ასე გამოდის... მარტო ჩვენ არ ვართ. პირიქით, საქართველოში არა მგონია ბაზარი ძალიან გაჯერებული იყოს გმ პროდუქტებით. უბრალოდ, ჩვენთან არის ისტერია — თუ რაიმე ცუდ პროდუქტს წავაწყდებით, აუცილებლად გენმოდიფიცირებული გვგონია.

— „ცუდში“ რას გულისხმობთ? ცნობილია, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი, ვიზუალურად ჯანსაღია.

— დიახ, მაგრამ პომიდორს, რომელიც ვიზუალურად კარგია, თუ გაჭრით და არ მოგეწონებათ, იფიქრებთ, რომ გენმოდიფიცირებულია. არადა, შეიძლება ასე არ იყოს. ადრე პროდუქტი რომ მოჰყავდათ, ფიქრობდნენ, მას ჰქონოდა კარგი გემოვნური თვისებები, შესაბამისი კალორიულობა, დიდი რაოდენობით მოსავალი მიეღოთ... დღეს მიდგომა შეცვლილია — ფიქრობენ, მოსავალმა, მეტი სარგებელი მოიტანოს, შესაბამისად, გამძლე უნდა იყოს. ტრანსპორტირება მოხერხდეს, რასაც შეიძლება მიაღწიო ნიტრატების, ქიმიური ნივთიერებების დამატებით, რაც შეიძლება გენმოდიფიცირებულ პროდუქტზე საშიში იყოს.

— ამ ფონზე, როგორც მეცნიერს, გაქვთ რაიმე მეთოდი, როგორ არჩევთ ბაზარზე პროდუქტს?

— განსაკუთრებული მეთოდი არ მაქვს. ვცდილობ, გარევაჭრობას გავერიდო. მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, სად ინახება პროდუქტი, რადგან შეიძლება შენახვის პირობების დარღვევამ უარესი პრობლემები შექმნას. საუკეთესო ვარიანტია, თუ გაქვს საშუალება პროდუქტი სოფლიდან, პირდაპირ იმ გლეხიდან წამოიღო, ვისაც ენდობი.

— დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული გენმოდიფიცირებული პროდუქტი რომელია?

— სოიო, სიმინდი, ხორბალი, ბრინჯი, პომიდორი, კარტოფილი... ეს არაა დამალული. ოფიციალურად არის საიტებზე მითითებული, რომელ ქვეყანაში რომელი კომპანია რომელ გმ პროდუქტს აწარმოებს და სად გააქვს. არსებობს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება ეტიკეტირების წესთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს, მოხდეს პროდუქციის კონტროლი, მაგრამ საქართველოში არ ფუნქციონირებს შესაბამისი ლაბორატორია და არც კანონი არეგულირებს ამ საკითხს. მომხმარებელმა უნდა იცოდეს პროდუქტისა და მისი ინგრედიენტების შესახებ დეტალური ინფორმაცია. შესაბამის ლაბორატორიაში ანალიზის გაკეთება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, რისი ფუფუნებაც კომპანიებს არ აქვთ. მათ შეიძლება შეამოწმონ პროდუქტის ხარისხი, მაგრამ ყოველ პარტიაზე გმო-ს შემოწმება ძალიან რთულია, ამიტომ კარგი იქნება, თუკი ლაბორატორია ამუშავდება და მას დაუკავშირდებიან კომპანიები. რაც უფრო მეტი დაუკავშირდება, ანალიზის თვითღირებულებაც დაიწევს. საკანონმდებლო დონეზეც ბევრი რამაა დასახვეწი — მაგალითად, ეტიკეტირების წესში გვიწერია, რომ თუ სურსათში გმო 0,9%-ზე მეტია, აუცილებლად უნდა დაეწეროს შეფუთვაზე. ეს ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტს, სადაც წერია, რომ 0,9% გმო არ უნდა იყოს არა სურსათში, არამედ მის შემადგენელ ინგრედიენტში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მოკლედ, ამ მხრივ, ბევრი ხარვეზია გამოსასწორებელი და იმედია, ხელისუფლება ამ საკითხისადმი სათანადო ინტერესს გამოიჩენს.

რატომ ჩამოართვეს „იდენტობას“ ადამიანებზე ზრუნვის უფლება?

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ორგანიზებით, თბილისში უსახლკაროთათვის თავშესაფარი უნდა გაკეთებულიყო, თუმცა საპატრიარქო და ჯანდაცვის სამინისტრო ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ. პარალელურად, ინიციატორებს ბაგების კორპუსიდანაც დაუკავშირდნენ და განუცხადეს, რომ პოტენციურ ბენეფიციარებს უსაფრთხოების პრობლემები შეექმნებოდათ, რის გამოც, „იდენტობამ“ თავშესაფრის გახსნაზე უარი თქვა.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებდა, რომ „იდენტობის“ ინიციატივა არ არის კოორდინირებული და მოქცეული საერთაშორისო დეკლარაციებში, რომ ხელისუფლება მიესალმება ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც უსახლკარო ბავშვების დახმარებისკენაა მიმართული, თუმცა ეს ყველაფერი უნდა იყოს მოქცეული საერთაშორისო კანონმდებლობის ჩარჩოებში — ასეთი ინიციატივა იზოლირებულად კი არა, კომპლექსურად უნდა განხორციე ლდეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ინიციატივასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საპატრიარქომაც: **„იდენტობა“ ჰომოსექსუალთა და სხვა სქესობრივი უმცირესობების უფლებების დამცველი და მათი აქტიური მხარდამჭერია. ბუნებრივია, იქმნება საშიშროება, რომ მათი „მზრუნველობის“ ქვეშ მოქცეულ არასრულწლოვანებთან ცხოვრების ასეთი წესი იქნას წახალისებული, რაც ბავშვთა საყოველთაოდ აღიარებული — პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას წარმოადგენს. ეს კი მიუღებელია, როგორც ეკლესიისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის. ჩვენ სრულიად ვუჭერთ მხარს ჯანდაცვის სამინისტროს პოზიციას და მიგვაჩნია, რომ მიუსაფარ ბავშვებზე მზრუნველობა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოსთან კოორდინირებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არა მხოლოდ „იდენტობის“ შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად, რადგან ამ შემთხვევაში, ბავშვების პირად ცხოვრებასა და არჩევანზე უარყოფითი ზემოქმედების საფრთხე მეტ-ნაკლებად მოხსნილი იქნება“.**

ორგანიზაცია „იდენტობის“ თავმჯდომარე **ირაკლი ვაჭარაძე** აცხადებს, რომ „იდენტობა“ ვინმეს აღზრდას კი არ აპირებს, იმ ხალხისთვის ეძებს თავშესაფარს, ვინც სახელმწიფო სტრუქტურების დაუდევრობით, ზამთარში ქუჩაში იხოცება: **„არავითარი იზოლირებული სახლი არ კეთდება; არავის აღზრდას, მით უმეტეს, ბავშვებისას არ ვაპირებთ; ქუჩაში რომ გეხოცებათ ადამიანები, მათ შევიფარებთ 4 თვით და სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, იურისტები და დასაქმების სპეციალისტები იმუშავებენ; „იდენტობის“ გარდა, ათობით სხვა ორგანიზაცია იქნება ჩართული, მათ შორის ისინი, ვინც პროფესიულად ასეთ მომსახურებას ყოველდღე სთავაზობს გაჭირვებულ მოქალაქეებს. თავად თუ გააკეთებთ, მაგას რა სჯობს, მაგრამ თუ ვერ აკეთებთ, სხვებს მაინც დააცადეთ!“**

ამ „კითხვა-პასუხის“ შემდეგ „იდენტობას” დაუკავშირდნენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენლები, რომლებიც მათ საცხოვრებელ კორპუსში თავშესაფრის განთავსებას არ დაუშვებენ. მათი განცხადებით, თუ თავშესაფარი დაგეგმილ ადგილზე გაიხსნებოდა, ისინი ყოველდღიურად შეუქმნიდნენ მის ფუნქციონირებასა და მაცხოვრებლებს პრობლემებს. „იდენტობა“ გამოხატავს უდიდეს პატივისცემას იმ მოხალისეების მიმართ, ვინც უკვე გააკეთა შემოწირულობა თავშესაფრისთვის და მოუწოდებს სამოქალაქო საზოგადოებას, თავად აიღოს ინიციატივა — დააარსოს თავშესაფარი უსახლკარო ოჯახებისთვის: **„მიღებულ შემოწირულობებს, რომელიც ამჟამად ფულადი სახით 939 ლარს შეადგენს, ასევე ტანსაცმელს, რომელიც მოქალაქეებმა ოფისში მოიტანეს, „იდენტობა“ გადასცემს იმ უსახლკარო ადამიანებს, რომელთა დახმარებაც იგეგმებოდა, ან სხვა დაწესებულებას, თუ ასეთი უახლოეს პერიოდში ჩამოყალიბდება. განსაკუთრებით, გვსურს, მოვუბოდიშოთ იმ ადამიანებს, ვისაც იმედი გაუჩნდა, რომ ამ ზამთარს ყინვას გადაურჩებოდა. ვწუხვართ, რომ ძალადობრივ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, თქვენ და ჩვენ. ვწუხვართ, რომ არც სულიერება და არც ქველმოქმედება ჯერჯერობით უზენაეს ღირებულებას არ წარმოადგენს მისთვის, ვინც ამის საკეთებლადაა შექმნილი. „იდენტობა“ უწინდებურად გააგრძელებს უსახლკარო ადამიანთათვის სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურების შეთავაზებას, ასევე საქველმოქმედო აქციების ორგანიზებას“.**

შორენა გაბუნია, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ჟურნალ „იდენტობის“ რედაქტორი აცხადებს, რომ **„ეს კერძო ინიციატივა იყო. კონკრეტულმა ადამიანმა ბაგებში გარკვეული ფართი შემოგვთავაზა, სადაც იდენტობა და სხვა კეთილისმსურველი ადამიანები, ქველმოქმედების მეშვეობით, თავშესაფარს მოაწყობდნენ. საზოგადოება აქტიურად ჩაება პროცესში, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — ამხანაგობიდან დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს — ჩვენს კორპუსში თავშესაფრის მოწყობის წინააღმდეგნი ვართ, ამას ყველანაირად ხელს შევუშლით, თავს დავესხმებითო და ა.შ. ამ საქმეს იმიტომ ვაკეთებდით, რომ ადამიანებს, რომლებსაც ზამთარში სიცივე და შიმშილი ემუქრება, მინიმალური საარსებო სივრცე ჰქონოდათ, ჭერქვეშ შეგვეფარებინა და გვეპატრონა. მეზობლობა თუ ამხანაგობა თავშესაფრის პოტენციურ ბინადრებს ახლავე ემუქრება, უსაფრთხოება არანაირად დაცული აღარ არის და მერე რას იზამს?! ამის გამო, იძულებულნი გავხდით, უარი გვეთქვა ამ ნაბიჯზე. ასეთი მუქარისა და მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში, საქმეს ვერ გავაკეთებთ.**

ჯანდაცვის მინისტრმა სერგეენკომ იურისტებისთვის აბსურდული განცხადება გააკეთა და ძალიან მაინტერესებს, რომელ კონვენციას ვარღვევთ, როდესაც ადამიანის შიმშილისა და სიკვდილისგან ხსნას ვაპირებთ, ამ მიზნით კონკრეტულ ღონისძიებას ვგეგმავთ და ვახორციელებთ? ანუ, ეს მხოლოდ საპატრიარქოს მხრიდან წამოსული ზეწოლა არ ყოფილა. საპატრიარქოდან ძალიან მკაფიო მესიჯი იყო, რომ ჩვენ ვართ ავადმყოფები და ჩვენთვის ბავშვების ნდობა არ შეიძლება. არადა, იქ ბავშვთა თავშესაფარზე კი არა, საუბარია თავშესაფრებზე ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც უკიდურესად გაჭირვებულია და რომლის შერჩევაშიც სოციალური მუშაკები მოგვეხმარებოდნენ. საუბარი იყო ოჯახებზე, მარტოხელა ქალებზე, რომლებსაც, რასაკვირველია, ბავშვები ეყოლებათ, ხანდაზმულ ადამიანებზე... ამიტომ ეს პოზიცია რამდენად ადეკვატურია, თავად განსაჯეთ. სამომავლოდ ვაპირებთ, შეძლებისდაგვარად, დავეხმაროთ იმას, ვინც თავშესაფრებს მოაწყობს და ამას ჩვენზე უკეთ გააკეთებს, სახელმწიფო იქნება თუ სხვა ორგანიზაციები, თუნდაც საპატრიარქო, რომლის დახმარებით ადამიანები არ გაიყინებიან და ქუჩაში შიმშილით არ დაიხოცებიან. ჩვენი თვითმიზანი, სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება და მხარში დგომაა“.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

სოციალურად დაუცველები სამარშრუტო ტაქსებში 50%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებენ

თბილისის საკრებულოს წევრის, ნიკოლოზ ხაჩირიშვილის თქმით, 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა და 300 ათასი ლარი გამოიყო, რათა სოციალურად დაუცველებს სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას შეღავათები ჰქონდეთ: **„სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ფასდაკლებით აქამდე მხოლოდ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე — ყვითელი ავტობუსებით და მეტროთი მგზავრობის დროს სარგებლობდა. ახალი გადაწყვეტილებით კი ისინი 50%-იანი ფასდაკლებით სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობისასაც ისარგებლებენ“.**

„პირველი“

„SOS! კულტურული მემკვიდრეობის დაცვა უქმდება!“

ICOMOS საქართველო შეშფოთებას გამოთქვამს „კულტურული მემკვიდრეობის კანონში“ ცვლილებებთან დაკავშირებით და პარლამენტის ყველა წევრს მოუწოდებს, არ დაუჭიროს მხარი წარმოდგენილ რედაქციას. ამასთან უზრუნველყოს კანონპროექტის ფართო განხილვა და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ შეტანილ საკანონმდებლო ცვლილების პროექტთან დაკავშირებით. ICOMOS საქართველოს საგანგებო განცხადებაში ვკითხულობთ: **„SOS! კულტურული მემკვიდრეობის დაცვა უქმდება! კანონპროექტი მიზნად ისახავს „კულტურული მემკვიდრეობის კანონის“ მე-17 მუხლის ცვლილებას, რომლის მიხედვითაც „განსაკუთრებულ შემთხვევებში, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობის არსებობისას“ ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა შესაძლებელი გახდება სამინისტროსთან შეთანხმებით და საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე. აქამდე არსებული რეგულირებით ძეგლის სტატუსის მოხსნა დაიშვებოდა მხოლოდ ძეგლის მიერ მისი ღირებულებების დაკარგვის შემთხვევაში. ეს ცვლილება წინააღმდეგობაში მოდის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პრინციპებთან, საქართველოს კონსტიტუციასთან (მუხლი 34.2) და საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მომავალს. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს მთავრობის მხრიდან გამარტივებული წესით ძეგლის სტატუსის მოხსნას, ყოველგვარი დაცვის გარეშე ტოვებს კულტურულ მემკვიდრეობას და მთავრობის აგრესიული ჩარევის საფრთხეს ქმნის. შედეგად, ეკონომიკური განვითარების სახელით კულტურული მემკვიდრეობის მორიგი ნგრევის მოწმენი გავხდებით. აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ცვლილების მიხედვით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იხსნის პასუხისმგებლობას, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ძნელად თუ აანალიზებს, რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მან. მსოფლიოში არ არსებობს ამგვარი ნორმის ანალოგი და ძეგლის სტატუსის მოხსნა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მრავალწლიანი განხილვის ფონზე ხდება“.**

„ინტერპრესნიუსი“

ჰოროსკოპი 22 ნოემბერი

ვერძი — დღის პირველი ნახევარი სასიკეთოა ნებისმიერი წამოწყებისთვის. შეძლებთ საკუთარი გეგმების რეალიზებას და შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც მცდარი ნაბიჯის გადადგმისგან დაგიცავთ.

კურო — თუ მასშტაბურ საქმეს შეეჭიდებით, მხარდაჭერას აუცილებლად მიიღებთ. შეიძლება შეხვდეთ ადამიანებს, ვისთანაც ბოლო დროს უთანხმოება გქონდათ, მაგრამ ეს გაუგებრობა მალე დასრულდება.

ტყუპები — ახლს საქმეს ნუ წამოიწყებთ, რადგან მაღალია შეცდომის დაშვების რისკი. დღე დაკავშირებულია დაუგეგმავ ხარჯთან, მფლანგველობის გამო კი შეიძლება მეგობრების ფინანსური დახმარება დაგჭირდეთ.

კირჩხიბი — თქვენთვის შეუძლებელი არაფერია, მზად ხართ, სასურველის მისაღწევად დაუღალავად იშრომოთ. გაქვთ შანსი, მოაგვაროთ დიდი ხნის ოჯახური კონფლიქტი, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ სიმშვიდის შენარჩუნება თქვენგან ერთგვარ თავგანწირვას მოითხოვს.

ლომი — დღე წარუმატებელია, გარშემომყოფების მიმართაც ზედმეტად მომთხოვნი ხართ, მაგრამ ეველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც გგონიათ — მზად იყავით ნებისმიერი მოულოდნელობისთვის, დაუჯერეთ ახლობლების რჩევებს და უსიამოვნებასაც აიცილებთ თავიდან.

ქალწული — თქვენი მომხიბვლელობის წყალობით შესანიშნავად ართმევთ თავს პრობლემებს. დღე ახალი ურთიერთობის დაწყებას გპირდებათ, რაც რადიკალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

სასწორი — ადამიანები, ვისაც შეხვდებით, პოზიტიურ როლს შეასრულებენ თქვენს ცხოვრებაში. ახალი პერსპექტივების დღეა როგორც საქმიან, ასევე პირად სფეროშიც. ნუ შეუშინდებით ცვლილებებს.

ღრიანცალი — დაუფიქრებლივ შეუდექით გეგმების განხორციელებას, რადგან დრო არ იცდის. დღის პირველ ნახევარში მაღალია შემოქმედებითი პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ თქვენი საქციელი გარშემომყოფებს ექსტრავაგანტულად ეჩვენებათ, დასახული მიზნის მიღწევა არ გაგიჭირდებათ.

მშვილდოსანი — მეტად დაკავებული ხართ საკუთარი საქმით და არ აქცევთ უურადღებას ახლობლების პრობლემებს — ამის გამო, შესაძლოა, ოჯახის წევრები განაწყენოთ. მეორე მხრივ კი, სწორედ დღეს შეძლებთ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას.

თხის რქა — ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან ემოციები ჯაბნის საღ აზრს. სწრაფად ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებებს, რადგან მერე შესაძლოა, ძალიან ინანოთ. გარდაუვალია ფინანსური პრობლემები და გაუგებრობა საქმიან პარტნიორებთან.

მერწყული — მოულოდნელი ნაცნობობა ახალ პერსპექტივებს გპირდებათ. შეგიძლიათ თამამად წამოიწყოთ ახალი საქმე, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ, თუმცა ეცადეთ აკონტროლოთ გარშემომყოფთა საქციელი.

თევზები — წარმატებული დღეა, მოსალოდნელია შეხვედრა მონატრებულ ადამიანებთან. შორეული ნათესავისგან მოულოდნელ, მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებთ, რაზეც თქვენი მომავალი იქნება დამოკიდებული.

რას გვიქადის გლობალური დათბობა?

ეკოლოგები გლობალური დათბობის შეუქცევად შედეგებს პროგნოზირებენ. ცოტა ხნის წინ ჟურნალ ნატიონალ ეოგრაპჰიც -ის ავტორებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, რა მოუვა დედამიწას, თუ მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით პლანეტაზე არსებული ყინული გადნება. სწავლულებმა ყველა შესაძლო შედეგი გათვალეს და დედამიწის ინტერაქტიული რუკაც შექმნეს, რომელზეც ყველა კონტინენტისთვის მოვლენების შესაძლო განვითარების სცენარი ასახეს: გამოცემის ავტორთა აზრით, ჩრდილოეთ ამერიკაში წყლით დაიფარება აშშ-ს ატლანტიკური სანაპირო, მათ შორის ფლორიდა, კალიფორნიის ნაწილი და მექსიკის ყურე. ლათინურ ამერიკაში წყალი დაფარავს არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესს, ასევე პარაგვაისა და ურუგვაის სანაპირო ზოლებს, აფრიკის კონტინენტი, დიდწილად, ხელშეუხებელი დარჩება, აზიაში კი „პირისაგან მიწისა“ აღიგვება ბანგლადეში და ინდოეთის ზოგიერთი რეგიონი. ხმელთაშუა ზღვაში წყლის დონის მატების შედეგად, ეგვიპტეში დაიტბორება ალექსანდრია და კაირო, განადგურდება ბევრი ცნობილი ღირსშესანიშნაობა ევროპაშიც; გლობალური დათბობის მსხვერპლი გახდება ლონდონი და ვენეცია, წყლის ქვეშ აღმოჩნდება დანიისა და ნიდერლანდების დიდი ნაწილი, ხოლო რაც შეეხება „მწვანე კონტინენტს“, მყინვარების გადნობა ავსტრალიის ცენტრში ზღვას წარმოქმნის, ანტარქტიდა კი, საერთოდ, უცნობ მატერიკად იქცევა.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

კვერცხის ცილა წნევას აქვეითებს

ჩინელი სწავლულების ახალი გამოკვლევების მიხედვით გაირკვა, რომ კვერცხის ცილას არტერიული წნევის დაწევა შეუძლია — ცილაში აღმოჩენილ ძირითად კომპონენტს იგივე თვისებები გააჩნია, როგორც მაღალი წნევის დამწევ პრეპარატ „კაპტოპრილს“. მკვლევარების თქმით, ლაბორატორიულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ცილაში აღმოჩენილი ნივთიერება — პეპტიდე პროტეინების ბლოკატორია, რომელიც წნევას ისეთ დონეზე ამცირებს, როგორც „კაპტოპრილის“ მცირე დოზა. მეცნიერებმა ცილაში არსებული პეპტიდი შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ნივთიერებას უნარი აქვს ACE-ს (ნივთიერება, რომელიც სისხლში წარმოიქმნება და წნევის მატებას იწვევს) მოქმედება დაბლოკოს, მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა კი აჩვენა, რომ პეპტიდებს არ გააჩნიათ ტოქსიკური ეფექტი.

ყველაზე ძვირადღირებული ბრენდები

ცნობილმა გამოცემა „ფორბსმა“ 2013 წლის მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბრენდები დაასახელა. სიას Apple ლიდრეობს — ბრენდის ღირებულება 104,3 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც სულ მცირე, ორჯერ აჭარბებს სხვა ნებისმიერი სავაჭრო მარკის ფასს. მიუხედავად კომპანიის კაპიტალიზაციის დაწევისა, ბრენდის ღირებულება, ბოლო წლის განმავლობაში 20%-ით გაიზარდა. რეიტინგის მეორე ადგილზე Microsoft-ია — წლის განმავლობაში მისი აქტივები გაიზარდა და ახლა 56,7 მილიარდ დოლარადაა შეფასებული; მესამე საფეხურზეა Coca-Cola, რომლის ღირებულებაც 54,9 მილიარდია — ეს ერთადერთი არატექნოლოგიური ბრენდია რეიტინგის ხუთეულში. ძვირფასი ბრენდების ტოპ-ათეულში ასევე შევიდნენ: IBM — 50,7 მილიარდი დოლარი; Google — 47,3 მილიარდი; McDonald's — 39,4 მილიარდი; General Electric — 34,2 მილიარდი; Intel — 30,9 მილიარდი; Samsung — 29,5 მილიარდი; Louis Vuitton — 28,4 მილიარდი.

ჰოროსკოპი 23 ნოემბერი

ვერძი — თქვენს შრომისმოყვარეობას ცოტა ორიგინალურობაც დაუმატეთ, ყველა შესაძლებლობა დროულად გამოიყენეთ და საქმიანი პარტნიორის მხარდაჭერა ყველა წამოწყებაში გარანტირებული იქნება. მეოცნებე ნუ იქნებით და პროფესიული ამოცანა დღის ბოლომდე შესრულეთ.

კურო — ნუ ეცდებით არსებულ კითხვებზე იოლი პასუხების მოძებნას. ყურადღება მოიკრიბეთ და შეეცადეთ, დღეს მიღებული ინფორმაცია თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ. შესაფერისი პერიოდია ახლობლების წრეში დროის გასატარებლად.

ტყუპები — თქვენს საქმიანობას შემოქმედებითად მიუდექით და შეეცადეთ, დასახული გეგმები განახორციელოთ. ეს თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და კოლეგებშიც ავტორიტეტს აგიძაღლებთ.

კირჩხიბი — ვარსკვლავები არ გირჩევენ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმებას, თუმცა ამის გამო გულს ნუ გაიტეხთ — ახალი ინიციატივების დროც მალე დადგება. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ მეგობრების წრეში გართობას დაუთმოთ.

ლომი — ვარსკვლავები ქედმაღლობის დავიწყებას გირჩევენ, რადგან ეს ვერ დაგეხმარებათ საქმის კეთებასა და ადამიანებთან ურთიერთობაში. საკუთარ თავს გვერდიდანაც შეხედეთ და ეცადეთ, ძველი ჩვევებისგან გათავისუფლდეთ. ფიქრობთ, რომ ვიღაც თქვენს წინააღმდეგ მოქმედებს, მაგრამ ვითარებას თუ გააანალიზებთ, აღმოაჩენთ, რომ პრობლემა მხოლოდ თქვენშია.

ქალწული — შეუძლებელია, ზეწოლისა და ბრძოლის გარეშე მიაღწიოთ წარმატებას. საქმეში ინიციატივას თუ გამოიჩენთ, სწრაფად იმოქმედეთ, საფრთხეზე ფიქრის დრო არ გექნებათ.

სასწორი — თუკი საკუთარი მიზნების რეალიზებას გადაწყვეტთ, ჯერ პარტნიორთან ურთიერთობის გარკვევა მოგიწევთ. დღის მეორე ნახევარი შესაფერისი იქნება გრძელვადიანი პროექტების შესრულებისთვის, თუმცა აჩქარება საჭირო აღარ არის.

ღრიანცალი — თავდაჯერებული იქნებით, ამიტომ ნებისმიერი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა არ გაგიჭირდებათ. მოსალოდნელია აქტიური საქმიანობა, რთული დავალებების შესრულება, რასაც ფინანსური წარმატებაც მოჰყვება.

მშვილდოსანი — დღის პირველ ნახევარში ფინანსური ოპერაციების შესრულებას თავი აარიდეთ, რადგან დიდია წარუმატებლობის ალბათობა. დაძაბულია პირადი ცხოვრებაც. დღის მეორე ნახევარში კი ადვილად მიაღწევთ შეთანხმებას. კარგი იქნება, თუ საღამოს ოჯახურ გარემოში გაატარებთ.

თხის რქა — დღის პირველ ნახევარში კოლეგებთან საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად ბრძოლა მოგიწევთ, საღამოს კი სტაბილურ წარმატებას მიაღწევთ. შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯი.

მერწყული — უარი თქვით დაძაბულ საქმიანობაზე, უოველდღიური საქმის შესრულებისას კი ნუ იჩქარებთ. შესაძლებელია ახალი და საინტერესო ნაცნობობა, რაც მომავალშიც გამოგადგებათ. შეეცადეთ, ნაკლებად ემოციური იყოთ.

თევზები — სასურველი პერიოდია ახალი, წარმატებული გარიგების დასადებად. არსებული პრობლემები ფსიქოლოგიურად მოგადუნებთ, თუმცა იმის ძალა გექნებათ, ახლობელ ადამიანებთან საღამო სასაამოვნოდ გაატაროთ. შესაძლოა ახალი წინადადება შემოგთავაზონ, რაც მომავალში თქვენს მატერიალურ სტაბილურობას შეუწყობს ხელს.

სუდოკუმანია

ადვილი

				3				
6				1	2			
	2		9			8		5
1							2	3
		5	4		1	9		
2	8							4
5		8			6		1	
			2	7				9
				5				

სტანდარტი

3			1					4
	7			5				
				2	9		3	1
	5	4						
	3			7			2	
						5	9	
9	4		8	6				
				1			6	
6					3			7

რთული

	5			8	7	6		
						1		
6			1		3	2		9
1						7		
			4		9			
		5						4
7		4	2		6			8
		2						
		8	3	7			6	

ექსპერტი

						1		3
	1	3			5		4	
				3	8	2		
	2					5		
5		9		1		4		7
		7					8	
		1	8	7				
	4		2			9	5	
6		2						

ჰოროსკოპი

24 ნოემბერი

ვერძი — იღბალი თან გდევთ და ამიტომ შეგიძლიათ, თამამად იმოქმედოთ. ფიქრზე დიდ დროს ნუ დაკარგავთ. სურვილი გაგიჩნდებათ, რამდენიმე საქმე ერთდროულად გააკეთოთ, თუმცა სჯობს, ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარებისგან თავი შეიკავოთ.

კურო — ემოციურად დაძაბული დღეა. სამსახურში საქმეს თავს ვერ აბამთ, არც პარტნიორის არჩევაში გიმართლებთ, ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ.

ტყუპები — დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული, მაგრამ ფინანსური საკითხები თქვენთვის არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ.

კირჩხიბი — შეეცადეთ, ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი შეხვედრა დაგეგმოთ. დღეს დაწყებული ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

ლომი — ყურადღება დაუთმეთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს, სწორედ მათი დახმარებითა და საკუთარი ინტუიციით შეძლებთ, შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსვლასა და უსიამოვნებების თავიდან არიდებას.

ქალწული — უამრავი საქმიანი შეხვედრა გელით, რაც პროფესიასთან იქნება დაკავშირებული. დღის მეორე ნახევარში, შესაძლო კონფლიქტი ოჯახის წევრებთან, ვერ გაგიფუჭებთ განწყობას.

სასწორი — შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და მტკიცე ხასიათით გააოცოთ. მართალია, გუნდური პრინციპით მოქმედება გირჩევნიათ, მაგრამ დღეს ინდივიდუალიზმი უნდა გამოამჟღავნოთ.

ღრიანკალი — შესაძლოა, არასწორმა ნაბიჯებმა გააფუჭოს წამოწყებული საქმე. დიდია სასაცილო ვითარებაში აღმოჩენის ალბათობა. აუცილებელია, სერიოზულად მიუდგეთ პროფესიულ მოვალეობას, დღის მეორე ნახევარი კი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

მშვილდოსანი — ოჯახში სიმყუდროვესა და სითბოს შეიქმნით. დღის მეორე ნახევარში, შეიძლება, უსიამოვნო ცვლილებებიც მოხდეს და პირად ცხოვრებაში ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ, მაგრამ წარმატების მიღწევას ძალის გამოყენებით ნუ შეეცდებით.

თხის რქა — კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისთვის. შეეცადეთ, უფრო მიზანდასახული იყოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ, რადგან არის ალბათობა, ქრონიკულმა დაავადებებმა იჩინოს თავი.

მერწყული — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს გპირდებათ. უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს.

თევზები — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, რაიმე ახალი საქმის წამოწყებას, სჯობს, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, მათი მოგვარების შანსი დიდია.

ჰომოსექსუალი – ქალის საუკეთესო მეგობარი

ახალმა ფსიქოლოგიურმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მამაკაცი-გეი და ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ქალი საუკეთესო მეგობრები არიან და ეს ურთიერთობა მაქსიმალური სანდოობით გამოირჩევა. ტეხასის უნივერსიტეტის სპეციალისტები დაინტერესდნენ, რატომ აქვთ გეებსა და სუსტი სქესის წარმომადგენლებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები — განიხილეს ჰიპოთეზა, როცა ქალს საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან აქვს კავშირი, მაგრამ ამავე დროს არ არსებობს ინტიმური სიახლოვე. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ექსპერტებმა შეარჩიეს ტრადიციული ორიენტაციის 88 მანდილოსანი და 58 გეი-მამაკაცი. ჩაატარებული ექსპერიმენტის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ გეებს მშვენიერი სქესი 20%-ით მეტად ენდობა.

რა ანიჭებს ადამიანს სიხარულს

იმისთვის, რომ ადამიანმა თავი ბედნიერად იგრძნოს, საჭიროა ძალიან მარტივი რამ — ის გამოძნებული უნდა იყოს... დასკვნა ბრიტანელ სწავლულებს ეკუთვნის, რომლებმაც სოციალური გამოკვლევა ჩაატარეს. „უდიდესი სიამოვნების“ ჩამონათვალში მეორე ადგილს საკუთარ ჯიბეში მოულოდნელად აღმოჩენილი ფული იკავებს, შემდეგ პოზიციებზე საყვარელ ადამიანთან საწოლში ჩახუტება, სიცილი და ნებივრობაა. როგორც გაირკვა, ბრიტანელებისთვის ასევე უმნიშვნელოვანესია თეთრეულის სისუფთავე, მალაზიებში სიარული და საჭირო ნივთების ფასდაკლებით შეძენა. „სიამოვნების“ სიაში შეიყვანეს ასევე, მშობლებთან ერთად სადილი, კომპლიმენტები, საწოლში წიგნის კითხვა, ზედმეტი წონის მოკლება, დილით საწოლში მირთმეული საუზმე, ძველი ალბომების თვალიერება და პირველი თოვლი...

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	7	1	4	9	3	8	2	6
6	2	9	8	1	7	5	4	3
8	4	3	5	2	6	1	9	7
7	5	6	3	8	2	4	1	9
1	3	4	9	7	5	6	8	2
9	8	2	6	4	1	3	7	5
4	1	5	7	6	9	2	3	8
3	9	8	2	5	4	7	6	1
2	6	7	1	3	8	9	5	4

სტანდარტი

6	1	8	7	9	2	5	4	3
7	5	4	3	8	1	2	9	6
3	2	9	6	4	5	1	8	7
1	8	7	2	6	4	3	5	9
5	9	3	1	7	8	6	2	4
4	6	2	5	3	9	8	7	1
9	7	1	8	5	6	4	3	2
8	3	6	4	2	7	9	1	5
2	4	5	9	1	3	7	6	8

რთული

9	7	4	6	1	2	8	5	3
5	6	3	4	9	8	2	1	7
2	1	8	7	5	3	6	9	4
4	2	5	3	8	1	7	6	9
3	9	7	5	6	4	1	2	8
6	8	1	2	7	9	3	4	5
1	5	2	8	4	7	9	3	6
8	3	6	9	2	5	4	7	1
7	4	9	1	3	6	5	8	2

ექსპერტი

3	8	7	6	5	2	1	9	4
9	5	6	4	1	3	8	7	2
4	2	1	7	9	8	3	6	5
8	9	5	2	3	7	6	4	1
2	1	4	8	6	9	7	5	3
6	7	3	5	4	1	9	2	8
1	6	8	9	2	5	4	3	7
7	4	2	3	8	6	5	1	9
5	3	9	1	7	4	2	8	6

მე-12 გვერდი: 1. ურო; 2. მულტიპლიკაცია; 3. დრო; 4. უდო; 5. ტყე; 6. პაი; 7. იუანი; 8. ალჩუ; 9. ისლი; 10. გოგლიმოგლი; 11. ჯო კოკერი; 12. კოროზია; 13. ოპალი; 14. კიპუ; 15. რული; 16. არჩილი; 17. დრაცენა; 18. ალთაი; 19. დიეგო; 20. ლორდი; 21. ანთროპოლოგია; 22. ოპუსი; 23. აგონია; 24. „აინტრახტი“; 25. ბანჯო; 26. აზრი; 27. ეკალი; 28. ირავადი; 29. ფიფქია; 30. იუპიტერი; 31. ქარიბდა; 32. მიკ; 33. ლუტეცია; 34. ხარო; 35. იაკი; 36. ბიურგერი; 37. სპარტა; 38. არია; 39. ინსი; 40. კოელიო; 41. იეტი; 42. აპო; 43. რახტი; 44. ანოა; 45. გედია; 46. ლუი; 47. პიკასო; 48. ავგია; 49. ხაო; 50. სტაბია; 51. გრიმი; 52. იოტა; 53. გოგიტა; 54. ალ; 55. ქვა; 56. ოახაკა; 57. „ლონდრე“; 58. პაჯი; 59. „იგლზი“; 60. ია; 61. საირა; 62. ოდინი; 63. ამაო; 64. გია; 65. ელი. 66. ოდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანქტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გიორგი მარგველაშვილს გაპრეზიდენტებას ულოცავს

„ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე ადემ ონალი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არჩევას ულოცავს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ადემ ონალი საგანმანათლებლო ფირმა „ჩაღლარის" სახელით მილოცვის წერილს აქვეყნებს.

როგორც წერილშია აღნიშნული, „ჩაღლარის" პირველი სასწავლო დაწესებულება საქართველოში 1992 წელს, თურქეთისა და საქართველოს მაშინდელ პრზიდენტებს - სულეიმან დემირელსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში ურთიერთთანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ" ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე გაიხსნა.

„ამით საძირკველი ჩაეყარა სასწავლო დაწესებულებების ქსელის ამოქმედებას საქართველოს მასშტაბით, რასაც მოჰყვა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დაარსება 1995 წელს. „ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებს უკვე 20 წელია თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ საქართველოს განათლების სისტემის განვითარების საქმეში. ჩვენი მოსწავლეები წარმატებით წარმოადგენენ საქართველოს სახელს სხვადასხვა საერთაშორისო ოლიმპიადებში" - ნათქვამია წერილში და აღნიშნულია, რომ „ჩაღლარი" განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მხარდაჭერით, ყოველწლიურად ატარებს ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადას, რომელსაც 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებიან.

როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, ასეთი ღონისძიებების წყალობით, უცხოელი ახალგაზრდები საქართველოსა და ქართულ კულტურას ეცნობიან.

ამასთან, როგორც „ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე აღნიშნავს, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, რითიც თავისი წვლილი შეაქვს განათლებისა და მეცნიერების დონის ამაღლებაში.

„ჩვენი სასწავლო დაწესებულებები ხელს უწყობენ ორ ქვეყანას შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცებას. დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი ლიდერობით, საქართველო გააგრძელებს წინსვლას. ჩვენ გვწამს ქვეყნის უკეთესი მომავლის. მთელი ჩვენი სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის, პერსონალის, ლექტორების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების სახელით გილოცავთ და გისურვებთ წარმატებებს თქვენს მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობაზე. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კეთილდღეობას პირად ცხოვრებაში", - ნათქვამია მილოცვის წერილში.

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საყანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.